კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გიორგი გიორგაშვილი

ექსპორტის მხარდაჭერის თანამედროვე სახელმწიფო სისტემა

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ დუდაური - ეკონომიკის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის და კორონავირუსის პანდემიის პირობებში საქართველოს წინაშე დგას პრიორიტეტული ამოცანა გაიზარდოს კომპანია-ექსპორტიორების და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობები მსოფლიო ბაზარზე და განმტკიცდეს მათი საერთაშორისო კონკურენტული პოზიციები. ამ პირობებში ექსპორტიორების მხარდაჭერის ეროვნული სისტემის განვითარებას, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გააჩნია დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ხოლო ასეთი კვლევების მოთხოვნილება ხდება სულ უფრო აქტუალური.

ნაშრომში განხილულია ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის თეორიული და მეცნიერულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. გაანალიზებულია ექსპორტის რეგულირების სისტემის სახელმწიფო ორგანოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე ეროვნული ექსპორტიორების მხარდაჭერის ძირითადი ღონისძიებები და სუბიექტები.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა ამ მიმართებით თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული და სწრაფად მზარდი ეკონომიკების ქვეყნების მდიდარი გამოცდილების ანალიზს, ასევე გაშუქებულია ექსპორტის მხარდაჭერის საქართველოში არსებული სისტემა, განხილულია ექსპორტის სტრუქტურა და ის პრობლემები და მათი დაძლევის გზები, რომელიც ახასიათებს ქვეყნის ექსპორტიორების მხარდაჭერის სისტემას.

საქართველოში ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხებზე ჩატარებულია კვლევა, რაც მდგომარეობდა რესპოდენტების გამოკითხვაში წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე. ნაშრომის ბოლოს შესწავლილი მასალისა და ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და დასახულია პრაქტიკული წინადადებები.

Giorgi Giorgashvili

Annotation

Modern state system of export support

In the face of the current global economic crisis and the Koronavirus pandemic, Georgia faces the priority task of increasing the volume of companies-exporters and their products on the world market and strengthening their international competitive position. Under these conditions, the development of a national system of support for exporters, increasing their competitiveness, has great theoretical and practical significance, and the need for such research is becoming increasingly important.

The paper discusses the theoretical and scientific-methodological bases of state support for exports. The state bodies and international organizations of the export regulation system have been analyzed, as well as the main measures and subjects of support for national exporters.

The paper focuses on the analysis of the rich experience of developed and fast-growing economies in the modern world, as well as the export support system in Georgia, the structure of exports and the problems and ways to overcome them, which characterizes the support system of exporters.

A survey was conducted on the issues of state support for exports in Georgia, which was based on a pre-compiled questionnaire in the survey of respondents. Based on the material studied at the end of the paper and the research conducted, conclusions are made and practical suggestions are made.

შინაარსი

შესავალი..... 5

თავი 1. ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის მეცნიერულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე..... 10

1.1. საექსპორტო ოპერაციების არსი და კლასიფიკაცია..... 10
1.2. ექსპორტის რეგულირების სისტემის სახელმწიფო ორგანოები და საერთაშორისო ორგანიზაციები..... 15
1.3. ეროვნული ექსპორტიორების მხარდაჭერის ძირითადი ღონისძიებები და სუბიექტები..... 22

თავი 2. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სფეროში..... 27

2.1. ექსპორტის მხარდაჭერის თანამედროვე სისტემის განვითარების ანალიზი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.....27
2.2. ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები ქვეყნებში სწრაფად ზრდადი ეკონომიკებით..... 34
2.3. ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის განვითარება საქართველოში..... 38

თავი 3. საქართველოს ექსპორტის მხარდაჭერის სისტემის პრობლემები, მათი დაძლევის გზები და პერსპექტივები..... 43

3.1. საქართველოს ექსპორტის სტრუქტურის მიმოხილვა, არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები..... 43
3.2. კვლევა: ექსპორტის მხარდაჭერის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოში..... 48
3.3. საქართველოს ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მხარდაჭერის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები და პერსპექტივები..... 55

დასკვნა..... 60

გამოყენებული ლიტერატურა..... 65

დანართი..... 69

შესავალი

თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის და კორონავირუსის პანდემიის პირობებში სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულს წარმოადგენს საზღვარგარეთ ეროვნული ექსპორტიორების პოზიციების განმტკიცების ამოცანა.

მსოფლიო ეკონომიკის კრიზისმა გამოიწვია გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობის შემცირება, კონკურენტული ბრძოლის გამკაცრება, განვითარების პრიორიტეტებისა და ორიენტირების ცვლილება, იმ ეროვნული კომპანიებისადმი ყურადღების გაზრდა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საექსპორტო საქონლის წარმოებაზე. ბოლო წლების განმავლობაში, მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში მთავრობები, არა მხოლოდ ატარებენ ღონისძიებებს წარმოებისა და ეკონომიკის რეალური სექტორის ვარდნის შესამცირებლად, არამედ ააქტიურებენ თავის ქმედებებს ეროვნული ექსპორტიორების მხარდასაჭერად, მათი გარე ბაზრებზე კონკურენტული პოზიციების განსამტკიცებლად. სახელმწიფო უშუალოდ არის დაინტერესებული აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტაში, რათა გაზარდოს საგადასახადო შემოსულობების მოცულობები, რაც საბოლოო ჯამში, საშუალებას მისცემს მას აამაღლოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე.

ვინაიდან, საქართველოს ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საგარეო ეკონომიკური კავშირების გარეშე, ექსპორტის გადიდებას მოაქვს ქვეყანაში დასაქმების ზრდა, რასაც მოყვება მნიშვნელოვანი სოციალური შედეგები. ბევრი ქვეყნისათვის ექსპორტის ზრდა გახდა ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების გაზრდის პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი. ექსპორტიდან შემოსავალი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების საჭიროებებისათვის კაპიტალის დაგროვების წყაროს. ექსპორტის მოცულობის ზრდა ბუნებრივი რესურსებისა და სამუშაო ძალის მობილიზებისა და ეფექტიანი გამოყენების საშუალებას იძლება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს კომპანიებისა და მთლიანად ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და მოგების გაზრდას. (А.С. Федораева 2010)

ქვეყნისათვის ექსპორტის მნიშვნელობა, როგორც ვალუტის შემომტანის, თანდათან უფრო იზრდება. ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპი დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, სადაც სწრაფად ფართოვდება საგარეო ვაჭრობა, განსაკუთრებით ექსპორტი. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ მზა პროდუქციის ექსპორტს, ქმნიან ფინანსურ ბაზას თვითდაფინანსებისთვის, გაფართოებული კვლავწარმოებისათვის, პერსონალის სოციალური და მატერიალური წახალისების პრობლემების გადაწყვეტისათვის, ასევე საკუთარი კაპიტალის განუხრელი ზრდისათვის. კომპანია-ექსპორტიორები წარმოადგენენ ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს. საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლის, ვინაიდან ქვეყნის ექსპორტი რჩება ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებად. ამავდროულად, ექსპორტის სტრუქტურაში უპირატესი პოზიციები უკავია ნედლეულს, სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობას. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის შემოსავლების დამოკიდებულება მსოფლიო კონიუქტურის მერყეობაზე. ამას გარდა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანებამ და ევროკავშირში ასოცირებულ წევრად შესვლამ მისცა საქართველოს და მის ექსპორტიორებს საშუალება მოეხდინათ ინტეგრაცია საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში.

საქართველოს წინაშე დგას პრიორიტეტული ამოცანა გაიზარდოს კომპანია-ექსპორტიორების და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობები მსოფლიო ბაზარზე და განმტკიცდეს მათი საერთაშორისო კონკურენტული პოზიციები. ამ პირობებში ექსპორტიორების მხარდაჭერის ეროვნული სისტემის განვითარებას, რათა გაფართოვდეს ქართველი ექსპორტიორების უცხოურ ბაზრებზე ხელმისაწვდომობა, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ტრანსფორმირებული გლობალური კონკურენციის ახალი გამოწვევების გათვალისწინებით გააჩნია არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა, ხოლო ასეთი კვლევების მოთხოვნილება ხდება სულ უფრო აქტუალური.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს კომპანია-ექსპორტიორების მხარდაჭერის ღონისძიებების მსოფლიო წამყვანი

ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და ეროვნული ექსპორტიორების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის გაანალიზება და მისი გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება, რათა გაძლიერდეს საქართველოს კონკურენტული პოზიციები საერთაშორისო ბაზრებზე.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული მიზნის მისაღწევად ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგი ამოცანების განხილვასა და გადაწყვეტაზე:

- ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის გამოყენების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების, საერთაშორისო გაცვლის თანამედროვე სისტემაში მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით, მისი ადგილისა და როლის განხილვა და ანალიზი;
- ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის არსის, ტიპოლოგიის, ფუნქციების, ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების განხილვა;
- ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების გამოყენების მსოფლიო გამოცდილების ანალიზი და მის საფუძველზე მათი განვითარების ტენდენციების გამოვლენა;
- მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის პირობებში საქართველოს საექსპორტო პოტენციალის შესწავლა და ანალიზი;
- საქართველოს ექსპორტის მხარდაჭერის სისტემაში არსებული პრობლემების შესწავლა და მათი დაძლევის გზების განსაზღვრა;
- საერთაშორისო ბაზრებზე ქართველი ექსპორტიორების ინტეგრირების პროცესში სახელმწიფო მხარდაჭერის როლისა და მნიშვნელობის შეფასება;
- ქვეყანაში ექსპორტის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხებზე რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- საქართველოში ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პირობებში ეროვნული კომპანია-ექსპორტიორების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის ღონისძიებები და

ინსტრუმენტები, ხოლო კვლევის ობიექტს კი ეკონომიკურ ურთიერთობათა კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია ეროვნული ბიზნესის საექსპორტო საქმიანობასთან და მის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემასთან.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომის თეორიულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერ ეკონომისტების სამეცნიერო შრომები, რომლებიც ეხება მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების, ეკონომიკის განვითარებისა და ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხებს. ასევე გამოყენებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

• **სისტემური ანალიზის.** იგი ორგანიზაციასთან და მართვასთან მიმართებაში წარმოადგენს შემეცნების ხერხს. სისტემური ანალიზის მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც ცდილობენ ობიექტის გამოკვლევას კომპლექსურად და მასში გულისხმობენ რთული ამოცანებისა და პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიას, რომელიც ეფუძნება კონცეფციებს შემუშავებულს სისტემათა თეორიის ჩარჩოებში. კვლევის მოყვანილი მეთოდი გამოყენებულია 1.2; 1.3 ქვეთავებში სადავ შედარებულია სხვადასხვა ქვეყანაში ექსპორტის სახელმწიფო რეგულირების სისტემები, ორგანიზაციები და ინსტრუმენტები, ასევე 2.2 ქვეთავში სადაც შედარებულია ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის განვითარების ხერხები და მეთოდები, მათი დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები.

• **ლოგიკური მეთოდი.** იგი ეფუძნება ფორმალური ლოგიკის გამოყენებას. ეს არის რთული ობიექტების ყველა არსებული თვისებების, კანონზომიერებებისა და ურთიერთობების თეორიული აღწარმოების მეთოდი. იგი გამოყენებულ იქნა 1.1;1.2 ქვეთავებში ექსპორტის სახელმწიფო რეგულირების სისტემების ხერხებისა და ინსტრუმენტების განვითარების რეტროსპექტიული ანალიზისას. ასევე 2.1 ქვეთავში განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის მხარდაჭერის სახელმწიფო

სისტემების განვითარების ისტორიული განვითარების პროცესის ასპექტების აღწერისას.

• **ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდი.** ეს არის მეთოდი, რომელიც ეფუძნება ტრადიციული სტატისტიკური და მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების ფართე გამოყენებას, საკვლევი მოვლენებისა და პროცესების ადექვატური ასახვისა და კონტროლის მიზნით. ეს მეთოდი გამოყენებულია 1.2; 1.3; 2.1; 2.2; 2.3 და 3.1 ქვეთავებში, სადაც მნიშვნელოვანი მოცულობით არის მოცემული სტატისტიკური მონაცემები და გაკეთებულია მათი ანალიზი.

• **რაოდენობრივი (მასობრივი გამოკითხვის) მეთოდი.** ეს მეთოდი ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა 3.2 ქვეთავში. სადაც რესპოდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულ იქნა შესაბამისი დასკვნები.

რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან. კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ეროვნული ექსპორტიორების მხარდაჭერის თანამედროვე ინსტრუმენტებისა და მეთოდების მსოფლიო გამოცდილების სისტემატიზაციასა და შეფასებაში, ასევე საქართველოში ამ სისტემის ანალიზსა და მისი დახვეწისათვის დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში, რათა გაიზარდოს ქართული ბიზნესის როლი საერთაშორისო ვაჭრობაში, განმტკიცდეს მისი კონკურენტუნარიანობა.

თავი 1. ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის მეცნიერულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე

1.1. საექსპორტო ოპერაციების არსი და კლასიფიკაცია

ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ქვეშ იგულისხმება კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან, რომელთაც გააჩნია მატერიალურ-ნივთობრივი ფორმა. ამასთან, საექსპორტო ოპერაციების ქვეშ გულისხმობენ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია საქონლის და მომსახურების საზღვარგარეთ გასაყიდად გატანასთან, ხოლო იმპორტი წარმოადგენს ოპერაციებს, რომლებიც გულისხმობს, უცხოური საქონლის შემოტანას შიდა ბაზარზე მათი შემდგომი რეალიზაციისათვის.

საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში ექსპორტისა და იმპორტის ქვეშ ჩვეულებრივ გულისხმობენ მხოლოდ იმ ოპერაციებს, რომლებიც ხორციელდება კომერციულ საფუძველზე, კერძოდ ყიდვა-გაყიდვის შესახებ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების დადებით. დახმარებები და სხვა სახის მიწოდებები, რომელიც ხორციელდება ანაზღაურების გარეშე, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ღირებულებაში, როგორც წესი, არ შეყავთ, არამედ მას აღრიცხავენ ცალკე.

ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ითვლება სრულყოფილად, თუ საქონელმა გადაკვეთა კონტრაგენტის ქვეყნის საზღვარი განსაზღვრული საბაჟო ფორმალობისა და პროცედურების შესრულების შემდეგ, რომელთა შორის არის ინფორმაციის მიწოდება სტატისტიკური აღრიცხვისათვის. ექსპორტ-იმპორტის ტვირთების საბაჟო აღრიცხვა წარმოადგენს საერთაშორისო სასაქონლო ნაკადების სტატისტიკური აღრიცხვის ბაზას. იგი საფუძვლად ედება ყოველი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას და ასევე საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკას მთლიანობაში, რომელსაც ადგენენ და აქვეყნებენ გაეროს სისტემის საერთაშორისო კომერციული ორგანიზაციები. ამიტომ, საბაჟო სტატისტიკური ანგარიშგების ერთნაირი სახით წარმართვას, მნიშვნელობების უნიფიცირებას, საგარეო სავაჭრო დოკუმენტაციის სტანდარტიზაციას ენიჭება განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა, როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალურ დონეებზე.

ექსპორტის ქვეშ გულისხმობენ და სტატისტიკურად ითვალისწინებენ: (В.Н. Копорулина 2008)

- საქონლის გატანას ქვეყნიდან, რომლებსაც აწარმოებენ, მოყავთ ან მოიპოვებენ ქვეყანაში, ასევე პროდუქციას, რომელიც ადრე იქნა შემოტანილი უცხოეთიდან და ექვემდებარება გადამუშავებასა და საზღვარგარეთ გატანას;
- საქონლის გატანას, რომელიც შემოტანილ იქნა ქვეყანაში და გადამუშავებული საბაჟო კონტროლის ქვეშ;
- საქონლის გატანას საზღვარგარეთ, რომელიც იქნა შემოტანილი და არ დაექვემდებარა არავითარ გადამუშავებას. ასეთ ექსპორტს უწოდებენ რეექსპორტს. რეექსპორტის საგანს ხშირად წარმოადგენს საქონელი, რომლის რეალიზება წარმოებს საერთაშორისო აუქციონებზე და სასაქონლო ბირჟებზე; რეექსპორტის ოპერაციებს ასევე მიეკუთვნება ოპერაციები, რომელიც ხორციელდება საქონლის ქვეყანაში შემოტანის გარეშე. ასეთი სახის ოპერაციები, თავისი არსით, არ მიეკუთვნება მოცემული ქვეყნის ექსპორტს ან იმპორტს, მაგრამ მათი გათვალისწინება მაინც ხდება საბაჟო სტატისტიკაში. მათ ახორციელებენ სავაჭრო ფირმები, სხვადასხვა ბაზარზე ერთი და იგივე საქონელზე ფასთა სხვაობის ხარჯზე მოგების მიღების მიზნით. რეექსპორტის ოპერაციებს ასევე მიეკუთვნება თავისუფალი ეკონომიკური ზონებიდან გატანილი საქონელი. საბაჟო სტატისტიკის მიერ მათი გათვალისწინება ხდება, როგორც საექსპორტო ოპერაციები,

საბაჟო ანგარიშგებას ექსპორტის ღირებულებაში შეაქვს ყველა ის საქონელი, რომელთა მიწოდებასაც ახორციელებს ტრანსნაციონალური კორპორაციები თავიანთი შვილობილი კომპანიებისათვის, რომლებიც განთავსებულნი არიან სხვა ქვეყნებში. სასაქონლო ექსპორტის ღირებულება მოიცავს: (E. Roy 2017)

- მიწოდებული მაკომპლექტებელი მოწყობილობების და მასალების ღირებულებას, ტექნიკური მომსახურების ღირებულების ჩათვლით;
- სალიცენზიო გადარიცხვები;

- სავაჭრო შუამავლების დახმარებით, ბაზრობებზე და გამოფენებზე გაყიდული პროდუქციის ღირებულება;
- საქონლის ღირებულება, რომელსაც გადასცემენ უცხოელ კონტრაგენტებს და რომელიც გადის ქვეყნიდან საბაჟო საზღვრის გავლით.

ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები შესაძლოა იყოს, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი, ე.ი. ხორციელდებოდეს, როგორც საქონლის მფლობელების, ასევე შუამავლების მიერ. შუამავლების როლში შესაძლოა გამოვიდნენ ბროკერები, დილერები, კომისიონერები, საბითუმო მყიდველები და საწარმოო აგენტები. შუამავლები თავის თავზე იღებენ საქონლის რეალიზაციის მრავალ ფუნქციას. მაგალითად, ისინი შესაძლოა ახდენდნენ უცხოელი პარტნიორების ძიებას, დოკუმენტაციის მომზადებასა და გარიგებების განხორციელებას, სატრანსპორტო-საექსპედიტორო ოპერაციებს, საკრედიტო-ფინანსურ მომსახურებასა და საქონლის დაზღვევას, გაყიდვის შემდგომ მომსახურებას, რეალიზაციის ბაზრების შესწავლას, რეკლამირებას, საბაჟო ფორმალობების განხორციელებას და სხვა ქმედებებს.

საქონლის რეალიზაციის ჩვეულებრივი ექსპორტ-იმპორტის გარიგებებთან ერთად, რომელიც სრულდება ფულადი ანაზღაურების საფუძველზე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პრაქტიკაში გამოიყენება ეგრეთწოდებული საქონელის გაცვლის ოპერაციები ანუ შემხვედრი საკომპენსაციო ვაჭრობა. იგი მოიცავს საქონლის რეალიზაციის ოპერაციებს, რომელებიც ითვალისწინებენ ექსპორტიორების შემხვედრ ვალდებულებებს შეისყიდონ ექსპორტირებული საქონლის შესაბამისი ღირებულების პროდუქცია იმპორტიორებისაგან. შემხვედრი გარიგებების მთელი მრავალფეროვნება ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლის, ანუ კომპენსაციის პრინციპის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავყოთ სამ ჯგუფად:

- განხორციელებული არა სავალუტო საფუძველზე;
- სავაჭრო საკომპენსაციო გარიგებები;
- საწარმოო საკომპენსაციო გარიგებები.

არა სავალუტო საფუძველზე განხორციელებული ხელშეკრულებები გულისხმობენ მოწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურებას ნატურალური ფორმით, როდესაც ერთი ან რამდენიმე საქონლის გაყიდვა უკავშირდება სხვა საქონლის შეძენას და ამასთან ფულადი ფორმით ანგარიშსწორება არ ხორციელდება.

საქონლის მოკლევადიანი უნაღდო ურთიერთმიწოდების სხვა სახეა - პირდაპირი კომპენსაცია. ამ შემთხვევაში მხარეები ათანხმებენ ფასს ურთიერთმიწოდებულ პროდუქციებზე, რომელიც შესაძლოა იყოს რამდენიმე სახის. ამ სახის გარიგება ჩვეულებრივ იდება უნივერსალურ სავაჭრო სახლებს, ექსპორტ-იმპორტის ფირმებს, სხვადასხვა ქვეყნის საბითუმო და საცალო ორგანიზაციებს შორის, როლებიც ერთმანეთს სთავაზობენ ფართო ნომენკლატურის საქონელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ლიცენზირებულ საქონელზე საექსპორტო გარიგების დადების დროს აუცილებელია გაფორმდეს შესაბამისი ნებართვა(ლიცენზია) საქონლის გატანაზე. საქონლის საზღვარზე გატარებისათვის აუცილებელია გამგზავნმა შეავსოს სატვირთო საბაჟო დეკლარაცია. უცხოელი პარტნიორისათვის საქონლის მიწოდების ორგანიზაცია, სატრანსპორტო საშუალების შერჩევასთან ერთად, გულისხმობს ხელშეკრულების გაფორმებას საქონლის ტრანსპორტირებაზე. საერთაშორისი სავაჭრო პრაქტიკაში კომერციული ოპერაციების განხორციელებისას გამოიყენება ორი ძირითადი მეთოდი: პირდაპირი და ირიბი. (ფინანსთა მინისტრის ბრძანება N290. 2012)

პირდაპირი მეთოდი გულისხმობს პირდაპირი კავშირების დამყარებას მწარმოებელს (მიმწოდებელს) და საბოლოო მომხმარებელს შორის. ირბი მეთოდი კი გვთავაზობს საქონლის ყიდვასა და გაყიდვას სასაქონლო-შუამავალი რგოლის საშუალებით, სავაჭრო შუამავალთან სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის განსაზღვრულ ვალდებულებებს გამყიდველის საქონლის რეალიზაციასთან მიმართებაში.

პირდაპირი ექსპორტი და იმპორტი შეადგენს იმ ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფო საწარმოები და

დაწესებულებები, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. პირდაპირი საექსპორტო ოპერაციების განხორციელებას გააჩნია რიგი უპირატესობები, ესენია:

1. იძლევა უცხოეთის მომხმარებლებთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარების საშუალებას;
2. უკეთესად ხდება ბაზრის პირობების შესწავლა და უცხოეთის ბაზრების მოთხოვნილებებზე საწარმოო პროგრამების სწრაფი მორგება.

პირდაპირი კავშირების მეთოდის გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში. რადგანაც კავშირი არ წყდება მაკომპლექტებელებისა და მოწყობილობების მიწოდების შემდეგ, არამედ გრძელდება მონტაჟის, დარეგულირებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ეტაპზეც, ასევე ექსპლუატაციის პროცესში ტექნიკური მომსახურებით. მოწყობილობებისა და მაკომპლექტებელების მიწოდების დროს მომავალი მყიდველი თვითონ მონაწილეობს შესასყიდი მოწყობილობის კონკრეტული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრაში.

პირდაპირი ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების არსებობას განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც თავის საგარეო-სავაჭრო საქმიანობას ახორციელებენ ბაზრობებისა და გამოფენა-გაყიდვების ორგანიზების საფუძველზე.

პირდაპირი კომერციული კავშირების განვითარებამ გამოიწვია ირიბი ექსპორტის მნიშვნელობის შედარებით შემცირება, ამის მიუხედავად სავაჭრო-საშუამავლო რგოლი მთლიანობაში რჩება საკმაოდ დიდი.

1.2. ექსპორტის რეგულირების სისტემის სახელმწიფო ორგანოები და საერთაშორისო ორგანიზაციები

საგარეო ეკონომიკური კავშირების მართვასა და რეგულირებას დიდ ყურადღებას უთმობენ სამთავრობო ორგანოები, სახელმწიფო აპარატი, არასამთავრობო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს ექსპორტის რეგულირება და მხარდაჭერა. წყვეტენ რა ნაციონალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების ამოცანას, მრავალმა წარმატებულმა განვითარებადმა ქვეყანამ, უკანასკნელ წლებში, მნიშვნელოვნად გაზარდა ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის ინტენსიურობა და მასშტაბები. განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის რეგულირებისა და მხარდაჭერის სისტემა წარმოდგენილია ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული სახელმწიფო და არასამთავრობო ინსტიტუტებით. მის შემადგენლობაში შედიან პროფილური სამინისტროები და უწყებები, სპეციალიზებული სააგენტოები და საექსპერტო ცენტრები, ფინანსური სტრუქტურები, რეგიონალური და საზღვარგარეთის წარმომადგენლობების აპარატები. (И.Н. Васютченко 2014)

ქვეყანაში ექსპორტის რეგულირებისა და წახალისებისათვის მნიშვნელოვანია, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციების მიერ დადგენილი წესებისა და გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება. არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქმიანობენ საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში. მათი ძალისხმევა მიმართულია, წესების, პრინციპების, საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების განხორციელების პროცედურების შემუშავებასა და წევრი ქვეყნების მიერ მათი შესრულების კონტროლზე. საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც მოქმედებენ ისეთი ორგანიზაციების ჩარჩოებში, როგორებიცაა:

- გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT).
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO).
- გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS).

- შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS).
- გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD).

გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT), რომელიც დადებულ იქნა 1947 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის მიზნით. მის მიზანს წარმოადგენდა ბარიერების შემცირება საერთაშორისო ვაჭრობაში. რაც მიღწეულ იქნა სატარიფო ბარიერების შემცირებით, რაოდენობრივი შეზღუდვებით (იმპორტის ქვოტა) და ვაჭრობის სუბსიდირებით სხვადასხვა დამატებითი შეთანხმებების საფუძველზე. თანამედროვე ეტაპზე სატარიფო განაკვეთების საშუალო დონე შეადგენს 3-5%-ს. მაგრამ აქ არის გამონაკლისებიც, რომებიც საშუალებას იძლევიან გამოყენებულ იქნეს შიდა ბაზრის დაცვის არასატარიფო საშუალებები (ქვოტები, ექსპორტის ლიცენზიები, საგადასახადო შეღავათები). (D.A. Irwin,. P.C. Mavroidis, A. O. Sykes 2007)

GATT-ი არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინამორბედი და თავის გადაწყვეტილებებს იღებდა მოლაპარაკების რაუნდებზე ყველა მისი წევრის მონაწილეობით. ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლითაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ხელმძღვანელობს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების რეგულირებაში, მიღებულ იქნა GATT-ის მოლაპარაკებების ბოლო ურუგვაის რაუნდზე (1984-1994), ამ რაუნდმა უფრო გააფართოვა იმ საკითხების წრე, რომელთა რეგულირებასაც ამჟამად ახორციელებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. მასში შეყვანილ იქნა მომსახურეობით ვაჭრობა, ასევე საბაჟო გადასახადის შემცირების პროგრამა, ცალკეული დარგების პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებაზე ძალისხმევის გაძლიერება (მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციის) და ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის იმ მიმართულებებზე კონტროლის გაძლიერება, რომლებიც ახდენენ გავლენას ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობაზე.

ამრიგად, ბოლო ურუგვაის რაუნდზე 1994 წელს იქნა მიღებული გადაწყვეტილება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელიც

გახდა GATT-ის სამართალმემკვიდრე და შეინარჩუნა მისი ძირითადი დებულებები. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არ შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რაც მას საშუალებას აძლევს გაატაროს საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკა და განახორციელოს კონტროლი მონაწილე ქვეყნების საქმიანობაზე, ექსპორტზე მიღებული რეგულირებების დაცვის მიმართულებით. (J. Rheberg's 2017)

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არის ერთობა, რომელსაც გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობა და რომელიც წყვეტს ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და სავაჭრო პოლიტიკის ამოცანებს მისი წევრი სახელმწიფოებისათვის. მის ძირითად მიზანს წარმოადგენს: გლობალური ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა და მსოფლიოს სავაჭრო სისტემის ღიაობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად და მისი დაარსებისას დეკლარირებული პრინციპების დასაცავად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს, რომელიც განსაზღვრულია მისი დამფუძნებლების მიერ, ესენია: (World Trade Organization 2019)

- ხელს უწყობს სავაჭრო ხელშეკრულებების ძალაში შესვლას, შესრულებასა და გამოყენებას;
- არის მის წევრებს შორის სავაჭრო საკითხებზე მოლაპარაკებების წარმართვის ინსტიტუტი;
- აღმასრულებელი ფუნქცია, იგი ითვალისწინებს მის წევრებს შორის სავაჭრო დავების გადაწყვეტის პროცედურების დადგენას;
- ფუნქცია, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი შეთანხმებებით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სუბიექტების ნაციონალურ სავაჭრო პოლიტიკას, მათ შორის უწევს ტექნიკურ მხარდაჭერას განვითარებად ქვეყნებს მათი სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ხელს უწყობს მარაკეშის შეთანხმებისა და მრავალმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების შესრულებას, ადმინისტრირებასა და მათი დებულებების რეალიზაციას. იგი ასევე უზრუნველყოფს მის წევრ ქვეყნებს შორის, ექსპორტ-იმპორტის საკითხებზე, მოლაპარაკებების წარმართვის

პროცესს. წევრი ქვეყნების მინისტრთა კონფერენციის გადაწყვეტილებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შეუძლია უზრუნველყოს მოლაპარაკებების წარმართვა მის წევრებს შორის და ამ მოლაპარაკების შედეგების იურიდიულად გაფორმება.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში 164 ქვეყანაა გაერთიანებული. საქართველო ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდა 2000 წლის 14 ივნისს და იგი მისი 137 წევრი გახდა. (გ. ხატიაშვული 2018)

ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე კიდევ ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე და მათ შორის ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე წარმოადგენს გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD). იგი შეიქმნა 1964 წელს, როგორც მუდმივმოქმედი სახელმწიფოთაშორისო ორგანო და წარმოადგენს გაეროს საკვანძო ორგანოს ვაჭრობისა და განვითარების საკითხების სფეროში, მის ფუნქციებში შედის სავაჭრო და ეკონომიკური განვითარების დაჩქარება განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.

ექსპორტის რეგულირების სისტემის სახელმწიფო უმაღლესი ორგანო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. მისი უპირველესი ხედვა არის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება ანუ გაღრმავება სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან, რომელიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ გარემოში ინტეგრაციისათვის. აქედან გამომდინარე ევროკავშირთან სიღრმისეული და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელშეწყობა ვაჭრობაში, ბარიერების შეძლებისდაგვარად შემცირების და ჩვენს ქვეყანაში წარმოებული საქონლის/პროდუქტის, ასევე მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურ სამუშაოს ეწევა უარყოფითი სავაჭრო ბარიერის გაუმჯობესებისა და ასევე ექსპორტის მხარდაჭერისათვის ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობის შედეგებისა და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის მასიური

ანალიზის საკითხში. ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს ევროპულ სტრუქტურებთან.

საგარეო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციებში შედის შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- მუშაობა პოლიტიკის საკითხზე, რომელიც შეეხება საქართველოს საგარეო ვაჭრობას.
- მთავრობებს შორის ხელშეკრულებების შემუშავება, კოორდინაცია, მოლაპარაკება და შემდგომ მისი განხორციელების მონიტორინგი. ეს ყოველივე კი საერთაშორისო სავაჭრო ხასიათს ატარებს.
- იმ საკითხებზე მუშაობა, რომელიც საქართველოს სავაჭრო რეჟიმის გაუმჯობესებისთვისაა აუცილებელი.
- ხელშეკრულების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, საუბარია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე.
- საკითხებზე მუშაობა, რომელიც შეეხება ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას.
- ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ანალიზი, რომელიც საქართველოს აქვს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან.
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსის შეფასება (ანალიზი) და მის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება.
- კოორდინაცია იმ შეთანხმების რაც აღებული აქვს ევროკავშირთან ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის ირგვლივ შეთანხმებით.

ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრინციპს. სატარიფო რეფორმა და ტექნიკური რეგულირების რეფორმა განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ, ამის გამო ქვეყანას გააჩნია ყველაზე გამორჩეული ლიბერალური საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც ცხადია გულისხმობს გამარტივებული ფორმით საგარეო ვაჭრობის რეჟიმს და ამავდროულად საბაჟოსაც. ტარიფებიც განსაზღვრავს მის ეფექტიანობას, რაც გამოიხატება

როგორც დაბალ საიმპორტო ტარიფებში, ისევე მინიმალური არასატარიფო რეგულირებაშიც.

ექსპორტი და რეექსპორტი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადებისაგან, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. საქართველოში მოქმედებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრა დანიშნულების ქვეყნის მიხედვით, ეს რეგულაცია 1997 წლის 1 სექტემბრიდან მოქმედებს. დღეისობით ექსპორტი დღგ (დამატებითი ღირებულების გადასახადი - არაპირდაპირი გადასახადი, საერთო-სახელმწიფოებრივი, რომელიც ნიშნავს საქონლისა და მომსახურების ,ასევე წარმოების ყველა სტატიაზე დამატებული ღირებულების გარკვეული რაოდენობის სახელმწიფო ბიუჯეტში აღებას. ეს ერთ-ერთი საყურადღებოდ მნიშვნელოვანი გადასახადია თანამედროვე საგადასახადო სივრცეში. მისი თავდაპირველი სქემა 1954 წელს ფრანგმა ეკონომისტმა მორის ლორემ დაამუშავა. (Черкасов Д. Я. 2015). დღეს დაახლოვებით 137 სახელმწიფოში მოქმედებს აქტუალურად. გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანას რომელიც ცდილობს ევროკავშირში შესვლას სავალდებულო ერთ-ერთი პირობა დღგ-ის არსებობაა მის საგადასახადო სისტემაში) განთავისუფლებულია და არ იბეგრება.

საქართველო გამოირჩევა საკუთარი კონკურენტული სავაჭრო რეჟიმით, ასევე ლიბერალური კუთხითაც. 2006 წლის 1 სექტემბრიდან, საიმპორტო ტარიფები შემცირდა 3 განაკვეთამდე, რომლებიცაა: 0%, 5%, და 12%. საქართველოში ტარიფები იმპორტირებულ საქონელზე დადგენილია საგადასახადო კოდექსის, კერძოდ XXVIII მუხლით. არ არის გათვალისწინებული საგარეო ვაჭრობაში რომელიმე არასატარიფო შეზღუდვები, როგორიცაა კვოტირება, ლიცენზირება და სხვა ,გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელიც ეხება და მნიშვნელოვანია ჯამრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე გარემოს დაცვისათვის. ამ დროს გასცემს სახელმწიფოს განსაზღვრული ორგანოები შემდეგი სახის ნებართვებსა, ასევე ლიცენზიებს: (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2019)

- პროდუქტის იმპორტის ნებართვა, რომელიც დაქვემდებარებულია ვეტენირალური და ფიტოსანიტარულის ქვეშ - აღნიშნულ ნებართვას გასცემს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ორგანოდან.
- ექსპორტი, რეექსპორტი, იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვებს, რომელიც შეეხება ბრუნვად შეზღუდულ მასალებს - აღნიშნულ ნებართვას გასცემს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.
- ელექტრონული საშუალებების, როგორც ექსპორტის ისევე იმპორტის ნებართვას გასცემს - შინაგან საქმეთა სამინისტრო.
- ნებართვაა საჭირო, თუ საქმე ეხება ისეთი პროდუქტების ექსპორტ-იმპორტს, როგორიცაა ბირთული მასალები, რადიოაქტიური ნივთიერებები, ბირთვული და რადიაციული ობიექტები, გასცემს - ენერგეტიკის სამინისტრო.
- საბრძოლო, მასალებისა და იარაღისთვის ნებართვა მიიღება - საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.
- სამკურნალო საშუალებები, რომელიც სპეციალურ კონტროლს ემორჩილება ნებართვა გაიცემა - საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.
- მარილის იმპორტი, რომელიც არ არის იოდიზირებული მიიღება - სოფლის მეურნეობის სამინისტროში.
- ისეთი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობები, რომელიც გადაშენების საფრთხის წინაშეა, (CITES) დანართში ჩამოთვლილი სახეობების ექსპორტ - იმპორტის და რეექსპორტის ნებართვას გასცემს - გარემოს და ბუნებრივი დაცვის სამინისტრო.
- აკრძალულია საქართველოდან ექსპორტი ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის, რომლის ნუსხა არსებობს.

საქართველოში არსებობს რეჟიმები, რომელიც მოქმედებს და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ერთად მნიშვნელოვანია, ეს არის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მოქმედებს ვმო-ის ყველა წევრ ქვეყანასთან, რომელიც 164 სახელმწიფოს მოიცავს. ვაჭრობის საბაჟო - საიმპორტო

გადასახადისგან გათავისუფლებას ეწოდება თავისუფალი ვაჭრობა, მხოლოდ ერთის გამოკლებით - ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. ქვეყნები, რომელთანაც საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობა და მოქმედებს ექსპორტის მაღალი მაჩვენებლები სხვა ქვეყნებთან შედარებით არის: თურქეთთან, დსთ ყველა ქვეყანასთან, ევროპასთან და ჩინეთის სახელმწიფოსთან. საერთაშორისო ვაჭრობა საქართველოსა და დსთ-ის ქვეყნებს შორის კონტროლდება ,,თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" ხელშეკრულებით, რომელიც მიიღეს 1994 წელს და იგი არ ვრცელდება საქართველო - რუსეთს შორის ვაჭრობაზე. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული შემდეგ ქვეყნებთან, რომლიც რა თქმა უნდა ორმხრივია: თურქმენეთი, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და უზბეკეთი.

1.3. ეროვნული ექსპორტიორების მხარდაჭერის ძირითადი ღონისძიებები და სუბიექტები

თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი ქვეყნის მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა, წარმოუდგენელია წარმატებით განვითარებადი, ეფექტიანი საგარეო ეკონომიკური სისტემის გარეშე, რომელიც იძლევა მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების საშუალებას. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგრეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება, როგორც ინსტიტუციების ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, უცხოელ პარტნიორებთან ხელსაყრელი ურთიერთკავშირების დამყარებას. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს სფეროს კი წარმოდგენს საგარეო ვაჭრობა. რა მიმართებითაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტიორი კომპანიების მხარდაჭერის ღონისძიებებს.

მსოფლიოში გაბატონებული პრაქტიკის თანახმად, ექსპორტის მხარდაჭერისა და რეგულირების ერთიანი პოლიტიკა არ არსებობს. სახელმწიფოები და მათი მთავრობები იყენებენ ბიზნესის რეგულირების,

წახალისებისა და მხარდაჭერის სხვადასხვა სტრატეგიებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, კონკურენტუნარიანობის დონეზე, მსოფლიოში გაბატონებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე და საერთაშორისო სტრუქტურებთან ურთიერთდამოკიდებულების დონეზე. ექსპორტის სტიმულირებისა და რეგულირების მთავარ მიზანს წარმოადგენს მისი სასაქონლო სტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი ბაზრების ათვისება და გაყიდვების ეფექტიანობის ამაღლება. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ჩარჩოებში შემუშავებულ და მიღებულ იქნა გენერალური შეთანხმება ექსპორტის დაკრედიტების სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართ საერთო მოთხოვნების შესახებ, რომელის შესრულებაც სავალდებულოა ევროკავშირის სახელმწიფოების მიერ. (OECD .2008)

პერსპექტიულ მსოფლიო ბაზრებზე საჭიროა უპირატესობის მიღწევა ხარისხისა და ტექნოლოგიის მიხედვით, რაც შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის შექმნით, მაღალი ტექნოლოგიების, ასევე მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შექმნითა და დანერგვით. თანამედროვე ქართული ეკონომიკისათვის სერიოზულ პრობლემად რჩება მისი დამოკიდებულება ნედლეულის ექსპორტზე და ავტომობილების რეექსპორტზე.

მსოფლიო პრაქტიკაში ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენენ შემდეგი მექანიზმები: (J. M. Caballero, G. Calegar C. Cappi 2017)

- ადმინისტრაციული (ნაციონალური კანონმდებლობა, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და წესების გამოყენება);
- გეგმიური (ინფორმაციული უზრუნველყოფა, მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალური და სხვა პროგრამები);
- ფინანსურ - ეკონომიკური (გადასახადები, პროცენტები კრედიტზე, ფასები და სხვა).

საქართველოს ხელისუფლება მრავალ ღონისძიებას მიმართავს ქართული ექსპორტის მხარდასაჭერად. მათ შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს

მიმართულებას წარმოადგენს პროექტი აწარმოე საქართველოში. მის ფარგლებში ხდება ქართული მეწარმეობის მხარდაჭერისა და განვითარების ხელშეწყობისათვის სხვადასხვა პროგრამების შემუშავება, გაიცემა გრანტები მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, განსაკუთრებით იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე.

აწარმოე საქართველოში პროექტის ფარგლებში მარტო 2019 წელს ინდუსტრიული მიმართულებით სულ გაფორმებულ იქნა 85 ხელშეკრულება. თუ განვიხილავთ ამ ხელშეკრულებებს სექტორების ჭრილში ყველაზე მეტი ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა საწარმოებისათვის, რომლებიც აწარმოებენ საამშენებლო მასალებს ასეთი საწარმოების რაოდენობა შეადგენს 21-ს ანუ მთელი მოცულობის 25%-ს. მეორე ადგილზეა ქაღალდისა და შესაფუთი მასალების წარმოება, ამ მიმართებით დაფინანსდა 18 საწარმო. ხოლო საკვები პროდუქტებისა და სასმელების მწარმოებელი საწარმოების რაოდენობა, რომელთაც მიიღეს დაფინანსება აღნიშნული პროექტით კი 11 ე.ი 13%-ი(იხ. დიაგრამა 1.1). სულ ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 148 389 ათასი ლარი, ხოლო ამ საწარმოებში დასაქმდა 1685 ადამიანი. (პროექტი აწარმოე საქართველოში 2019)



დიაგრამა 1.1. აწარმოე საქართველოს პროგრამით სექტორულ ჭრილში 2019 წელს დაფინანსებული საწარმოთა რაოდენობა

ქართული ბიზნესის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით პროგრამა აწარმოე საქართველოში ეგიდით და დახმარებით 2019 წელს ქართველმა მეწარმეებმა მიიღეს მონაწილეობა 16 საერთაშორისო ღონისძიებაში და მასში მონაწილეობა მიიღო 167-მა ქართულმა კომპანიამ და ინდ მეწარმემ. სულ ამ პროგრამის არსებობის მანძილზე 2014 წლიდან ამ პროექტის ფარგლებში 505-მა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა 60 საერთაშორისო ღონისძიებაში. ამ ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისეთები, როგორებიცაა: (პროექტი აწარმოე საქართველოში 2019)

1. საერთაშორისო გამოფენა - China International Import Expo (CIIE). 2019 წლის 5-10 ნოემბერი ჩინეთი შანხაი.
2. სურსათის მწარმოებლების პროდუქციის საერთაშორისო გამოფენა - Gulfood 2019. 17-21 თებერვალი 2019 წელი. დუბაი გაერთიანებული ემირატები. სადაც ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 100000, 185 ქვეყნიდან.
3. პარიზის საერთაშორისო ტანსაცმლის გამოფენა - Paris Fashion Week Showrooms. სადაც მონაწილეობა 2019 წელს მიიღო 32-მა ქართველმა დიზაინერმა.
4. სათამაშოების მწარმოებელთა საერთაშორისო გამოფენა გაყიდვა - Spielwarenmesse, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა გერმანიის ქალაქ ნიურბერგში. იგი წარმოადგენს მსოფლიოში ამ მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღონისძიებას.

საქართველო ახორციელებს ექსპორტის განვითარებას შემდგომი ღონისძიებების გამოყენებით:

- აღწერა ექსპორტის პროცედურებისა და ინფორმაციის, საჭირო ინფორმაციის მიწოდება ექსპორტისთვის გამოსაყენებელ და საჭირო სერტიფიკატებზე.
- კონკურენტული ტარიფების დადგენა, რომელიც განკუთვნილია ქართველი მეწარმეებისათვის.
- ხდება გადამზადება და განათლების მიწოდება ექსპორტ მენეჯერების.

- პლატფორმა-ევროპის მეწარმეთა ქსელი (ENTERPRISE EUROPE NETWORK). იგი დახმარებას უწევს ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების, როგორც მცირე ისე საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შორის ბიზნეს შემოთავაზებების ურთიერთ გაცვლას და ამავდროულად კავშირების დამყარებას ერთმანეთს შორის.

მიმდინარე 2020 წლის 7 თებერვალს გაიმართა პრეზენტაცია ექსპორტ-იმპორტზე. შემუშავდა ექსპორტიორი კომპანიებისთვის ახალი კრიტერიუმები შერჩევისათვის და თანადაფინანსების მექანიზმები, რომლის მიხედვითაც მოხდება მათი მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებში. განახლებული შერჩევის კრიტერიუმები გახდა მეტად კომპლექსური, რომელსაც ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო, განსაკუთრებით მოერგო მცირე და საშუალო ექსპორტიორი კომპანიების განვითარებას და მხარდაჭერას.

ამრიგად, ექსპორტის მხარდაჭერის მიმართულების მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. ამ მიმართებით საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს, მათ შორის თვალშისაცემია პროგრამა აწარმოე საქართველოში. მისი მასშტაბები ყოველწლიურად იზრდება, იზრდება თანადაფინანსების მოცულობებიც. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებსაც დებს ქართული სახელმწიფო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ორმხრივი ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან, ისეთებთან, როგორებიცაა: ჩინეთი, თურქეთი, აშშ-ი და სხვა. ექსპორტის ხელშეწყობისა და საერთაშორისო ბაზრებთან ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს გაერთიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. რამაც ქართველ ექსპორტიორებს გაუხსნა გზა ევროპისა და განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე.

თავი 2. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სფეროში

2.1. ექსპორტის მხარდაჭერის თანამედროვე სისტემის განვითარების ანალიზი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციისა და საერთაშორისო ბაზრების მაღალკონკურენტულ გარემო პირობებში, ექსპორტიორების წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებლია არა მხოლოდ მაღალ კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურების წარმოება, არამედ სახელმწიფოს მხრიდან, რისკების დაფარვისა და ფინანსირების სხვადასხვა სახის სქემების, ადექვატურ დახმარებაზე, ასევე მხარდაჭერის არაფინანსურ ღონისძიებებზე დაყრდნობა. განვითარებულმა და წარმატებულმა განვითარებადმა ქვეყნებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ექსპორტიორთა სახელმწიფო მხარდაჭერის მასშტაბები. უცხოეთის ქვეყნებში ექსპორტის მხარდაჭერა წარმოდგენილია სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ურთიერთქმედების სისტემით.

განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის მხარდაჭერის თანამედროვე სისტემების განვითარების თავისებურებების გამოვლენა და ანალიზი წარმოადგენს საქართველოს ექსპორტის მხარდაჭერის სისტემის წარმატებით ფუნქციონირების ობიექტური შეფასების ერთ-ერთ ძირითად პირობას. იმის მიუხედავად, რომ ბოლო პერიოდში გლობალურ ეკონომიკაში ჩნდება ზოგიერთი პოზიტიური ტენდენცია, ეკონომიკური განვითარების ტემპები რჩება დაბალი, და რაც მთავარია არასტაბილური, იგი დაკავშირებულია მნიშვნელოვან განუსაზღვრელობასთან მსოფლიო მეურნეობის განვითარებაში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით 2020 წელს კრიზისის გამო მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის ვარდნა მიაღწევს 32%-ს. მსო აღნიშნავს, რომ მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის აღდგენა შეიძლება მოხდეს 2021 წელს, მაგრამ ეს დამოკიდებული იქნება Covid-19 პანდემიის მიმდინარეობაზე. (Report to the U.S. Congress on 2019)

ექსპორტის მოცულობის შემცირებამ, რომელიც დაკავშირებული იყო მოთხოვნის შემცირებასთან, სტიმული მისცა ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების განვითარებას, რომლითაც ხელი შეეწყო ეკონომიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის გამოცოცხლებას, კომპანიების ექსპორტს. ექსპორტის მხარდაჭერის მსოფლიო პრაქტიკა ითვლის არაერთ ათწლეულს. საერთაშორისო ვაჭრობის თავისებურებების კვლევამ აჩვენა, რომ ერთის მხრივ ექსპორტის მოცულობების მკვეთრად შემცირებამ 2020 წლის დასაწყისში, ხოლო მეორეს მხრივ გადახდების რისკების გაზრდამ, სტიმულირება გაუკეთე ყურადღების გამახვილებას ექსპორტის მხარდაჭერის ფინანსურ ინსტრუმენტებზე. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ექსპორტის მხარდაჭერის საშუალო და გრძელვადიანი სახელმწიფოს კრედიტების მოცულობები, მოყვანილია დიაგრამაზე. (იხ. დიაგრამა 2.1)



წყარო: დიაგრამა შედგენილია Report to the U.S. Congress on 2019-ის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 2.1. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ექსპორტის მხარდაჭერის საშუალო და გრძელვადიანი სახელმწიფო კრედიტების მოცულობები 2019 წელს (მილიარდი აშშ დოლარი)

როგორც დიაგრამიდან ჩანს თავის ექსპორტიორებს ყველაზე დიდი სახელმწიფო კრედიტი 2019 წელს გასცა ჩინეთის ხელისუფლებამ, შემდეგ მოდის იტალია 12.4 მილიარდი დოლარით, ხოლო გერმანია 12 მილიარდი დოლარით მესამე ადგილზეა. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, რომელსაც აშშ-ის კონგრესი ყოველწლიურად აქვეყნებს, 2019 წელს აშშ-ის სახელმწიფომ თავისი

ექსპორტიორებზე გასცა 0.3 მილიარდი დოლარი კრედიტი და ამ რეიტინგში დაიკავა 25-ე ადგილი. საქართველო აღნიშნულ ანგარიშში რა თქმა უნდა ვერ მოხვდა. (Report to the U.S. Congress on 2019).

ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის მსოფლიო წამყვანი ქვეყნების გამოცდილების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერა დიდი ხანია წარმოადგენს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს და იყენებს ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების ფართო არსენალს.

საექსპორტო გაყიდვები მნიშვნელოვან შემოსავალს წარმოადგენენ ქვეყნებისათვის 2019 წელს ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით ლიდერობს ჩინეთი 2.499 ტრილიონი ამერიკული დოლარით, მას მოყვება აშშ-ი 1.645 ტრილიონი დოლარით, მესამე ადგილზეა გერმანია 1.486 ტრილიონი დოლარით (იხ. დიაგრამა 2.2), ჩინეთის გარდა ამ რეიტინგის ტოპ-10-ის ყველა ქვეყანაში სიტუაცია გაუარესებულია 2018 წელთან შედარებით, მხოლოდ ჩინეთმა გააუმჯობესა წინა წლის მაჩვენებელი 0.2%-ით. (D. Workman 2020)



წყარო: დიაგრამა შედგენილის D. Workman-ის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 2.2. მსოფლიოს ექსპორტიორი ქვეყნების ტოპ-10 2019 წელს (მილიარდ აშშ დოლარებში)

ამერიკის შეერთებული შტატები მრავალი წლის განმავლობაში ლიდერობდა ექსპორტიორი ქვეყნების სიას, მაგრამ რამდენიმე წელია მას ლიდერობა ამ მიმართებით ჩამოართვა ჩინეთმა. ამერიკული ექსპორტის

სახელმწიფო მხარდაჭერისათვის ფედერალური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა სახსრები. ამ მხარდაჭერის რეალიზება ხდება სხვადასხვა მიმართულებებით, როგორებიცაა:

- ეროვნული კომპანიების მხარდაჭერა, მათთვის კრედიტების მიცემის და გარიგებების დაზღვევის გზით;
- ეკონომიკური დახმარების მექანიზმის გამოყენება ამერიკელი ექსპორტიორების ინტერესების დასაცავად;
- სასოფლო სამეურნეო პროდუქციისა და სასურსათო საქონლის ექსპორტიორებისათვის საკრედიტო გარანტიების მიცემა;
- ამერიკული კომპანიების პროექტებისათვის მხარდაჭერა, რომლებიც ხელს უწყობენ ეკოლოგიური რისკების შემცირებას და უცხოელი მყიდველების ფინანსირება, როდესაც ისინი იძენენ ამერიკულ მოწყობილობებსა და ტექნოლოგიებს ეკოლოგიური საქონლისა და მომსახურების ნაწილში.
- ამერიკული კომპანიებისადმი მხარდაჭერა, მათთვის საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების მიცემის გზით, რომლებიც ინვესტიციებს ახორციელებენ საზღვარგარეთ.

აშშ-ში ექსპორტის ფინანსური მხარდაჭერის სისტემაში მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს ქვეყნის მთავრობის ფინანსური ინსტიტუტი აშშ-ის ექსპორტ-იმპორტის ბანკი (The Export-Import Bank of the United States - Exim Bank).

ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერა აშშ-ში წარმოდგენილია შემდეგი ინსტიტუციებით, რომლებიც ახდენენ ხელსაყრელი პირობების ფორმირებას ამერიკული კომპანიებისათვის, რათა მათ განახორციელონ ხელსაყრელი კომერციული პროექტები, ესენია: (С.В. Приходько и др. 2007)

- აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი - საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საკითხებზე ატარებს საკოორდინაციო და საკონსულტაციო კომიტეტების შეხვედრებს სამეწარმეო სტრუქტურების მონაწილეობით, რათა აღრიცხულ იქნას მათი პოზიციები მსხვილი საერთაშორისო ან

ორმხრივი ღონისძიებების შესახებ, რათა მიღებულ იქნას სწორი მმართველობითი გადაწყვეტილება.

- სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაკავებულია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ბაზრის გაფართოებით;
- ფინანსთა სამინისტრო ატარებს აშშ-ის საგარეო - ეკონომიკურ პოლიტიკას ფინანსების სფეროში;
- აშშ-ის ვაჭრობის სამინისტრო ხელს უწყობს აშშ-ის საგარეო ვაჭრობის განვითარებას.
- აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (United States Agency For International Development), აშშ-ის ვაჭრობისა და განვითარების სააგენტო (United States Trade and Development Agency), აშშ-ის მცირე ბიზნესის სააგენტო (The United States Small Business Administration).

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ინფორმაციული მხარდაჭერა ხორციელდება ცნობარების, ინფორმაციული ბიულეტენების გამოქვეყნებით და ასევე, სპეციალური საიტების ფორმირებით.

ექსპორტის სტიმულირების პროგრამის ჩარჩოებში გამოდის მეთოდური სახელმძღვანელოები საექსპორტო პროგრამებისა და ექსპორტიორების ფედერალური დახმარების საკითხებზე, რომელშიც გადმოცემულია სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები და სახეები, ასევე მათი მიღების მექანიზმები. ამერიკული სავაჭრო მისიები პასუხისმგებლები არიან განსაზღვრულ რეგიონებში საქონლის წინსვლაზე. ამერიკული კომპანიები, რომლებიც იწყებენ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას იღებენ უფასო მომსახურების პაკეტს, რომლის შემადგენლობაში შედის: ქვეყანა-კონტრაგენტის საბაზრო კვლევა, წარმოების დაინტერესებული სექტორის კვლევა, საერთაშორისო ბაზრების ანალიზი. (USDA 2017)

გერმანია წარმოადგენს ევროპის წამყვან ეკონომიკას და ქვეყანა ლიდერს ევროპაში ექსპორტის მოცულობის მიხედვით. გლობალური კრიზისის პირობებში ქვეყანაში საკმაოდ ეფექტიანად იყო გამოყენებული სახელმწიფო ანტიკრიზისული ღონისძიებები. ღონისძიებების ჩამონათვალში შედის არა

მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯების გაზრდა შიდა მოთხოვნის ხელშეწყობასა და სტიმულირებაზე, არამედ საგარეო ვაჭრობის მხარდასაჭერად და პირველ რიგში აზიის ქვეყნებთან.

გერმანიის ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა შექმნილია ევროპის სავაჭრო პოლიტიკით გათვალისწინებული ნორმებისა და წესების დაცვით. ეროვნულ კომპანია-ექსპორტიორებს მხარდაჭერას უწევს ფედერალური მთავრობა. ექსპორტის მხარდაჭერის აუცილებელი ღონისძიებები და პროცედურები ასახულია „საექსპორტო ვალდებულებების მიღების დირექტივაში“ (Gesetz zur Uebernahme von Sicherheits- und Gewaehrleistungenim Ausfuhrgeschaeft), რომლის შესაბამისად ეს ღონისძიებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ქვეყნის ინტერსებს და მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. (Herrn D. 2009)

ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემაში წამყვან როლს თამაშობს უწყებათაშორისი კომიტეტი (Interministerieller Ausschuss – IMA), რომელშიც შედიან ეკონომიკისა და შრომის სამინისტროს, ასევე ფინანსთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები. კომიტეტი სხდომებს ჩვეულებრივ ატარებს თვეში ორჯერ. მხარდაჭერის გაწევის მიზანშეწონილობა განისაზღვრება რისკების შეფასების და საექსპორტო პროექტის რეალიზაციის არაწამგებიანობის ალბათობის შეფასების საფუძველზე. გერმანიის ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემაში რისკების შეფასებას ექცევა უდიდესი მნიშვნელობა. გერმანელი ექსპორტიორების რისკების დასაფარავად გათვალისწინებულია ოთხი ძირითადი ფორმა, ესენია: გარანტიების მიცემა და ერთჯერადი დაფარვა, მრავლობითი დაფარვა, საექსპორტო და განსაკუთრებული დაფარვა. (Т.Р. Урумов 2019)

ექსპორტის მხარდაჭერის მნიშვნელოვან სუბიექტებს დაზღვევის ინსტრუმენტების გამოყენებით წარმოადგენს სადაზღვევო საზოგადოება Euler Hermes, ასევე საკრედიტო ფინანსური ინსტიტუტები (რეკონსტრუქციისა და განვითარების საბანკო ჯგუფი და სხვა). ექსპორტის მხარდაჭერის გერმანული

სისტემაში ისევე, როგორც აშშ-ში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციულ და საკონსულტაციო უზრუნველყოფასთან, საერთაშორისო ბაზრობებისა და გამოფენების მოწყობის მხარდაჭერასთან.

იაპონიაში ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სუბიექტს წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკი (The Japan Bank for International Cooperation - JBIC). იგი ახორციელებს ექსპორტიორების მხარდაჭერის ღონისძიებების ფართო წრეს იაპონური კომპანიების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ყველა მიმართულებით. მაგრამ, ქვეყნის სტრატეგიის შესაბამისად, პრიორიტეტულს წარმოადგენს იმ იაპონური კომპანიების მხარდაჭერა, რომლებიც მონაწილეობენ საზღვარგარეთ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის საექსპორტო საქმიანობა. ბანკი პროექტების ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობების განხილვისას დიდ ყურადღებას უთმობს ეკოლოგიური მაჩვენებლების დონეს, ვინაიდან მისი საქმიანობა გამიზნულია მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაზე, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაზე. (JBIC 2020)

ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებში, არამედ ყველა განვითარებულ ქვეყანაში ხდება სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის გააქტიურება ექსპორტიორების მხარდაჭერის სფეროში. ამ მიზნისათვის გამოიყენება ფინანსური და არაფინანსური ხასიათის ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების, ასევე პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ნაკრები, რომლებიც მისაღებია კომპანიების ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე.

პრაქტიკულად ყველა განვითარებულმა ქვეყანამ სწრაფად მოახდინა რეაგირება კრიზისის პერიოდში მსოფლიო კონიუქტურის ცვლილებაზე, გაატარა რა ღონისძიებები და მოახდინა ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის მოდერნიზაცია, გაზარდა რა გამოყენებული ინსტრუმენტების მოქნილობა და კომპლექსურობა.

2.2. ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები ქვეყნებში სწრაფად ზრდადი ეკონომიკებით

მსოფლიო ექსპორტი ბოლო ორი ათეული წელი ხასიათდება სწრაფად მზარდი ეკონომიკების წილის ზრდით, ასეთებს მიეკუთვნებიან: ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი, ჰონკონგი და სხვა. სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნებიდან ეროვნული ექსპორტიორი-კომპანიების თავისებურებების ანალიზმა აჩვენა, რომ ახალი კომპანიები მსოფლიო ბაზარზე პრაქტიკულად ყოველთვის აწყდებიან ძალიან ძლიერ წინააღმდეგობას ტრადიციული საერთაშორისო კომპანიების მხრიდან, რომლებსაც გააჩნიათ ექსპორტის წარმოების ხანგრძლივი გამოცდილება.

ეკონომიკის განვითარებასთან ერთად განვითარებადი ქვეყნების მთავრობები შეიმუშავებენ ექსპორტის მხარდაჭერის ღონისძიებების საკუთარ სისტემას, რომელთა მოცულობები ბოლო წლები საკმაოდ გაიზარდა. ლიდერებს ამ ჯგუფში ექსპორტის მოცულობისა და ექსპორტის მხარდაჭერის გატარებული ღონისძიებების მიხედვით წარმოადგენენ ახალი ინდუსტრიული ქვეყნები: ჩინეთი, რომელიც ლიდერობს მსოფლიოში ექსპორტის მოცულობით და რომლის ექსპორტმა 2019 წელს შეადგინა 2 ტრილიონ 499 მილიარდი დოლარი, ამ ჯგუფში მას მოყვება 2019 წლის მსოფლიო რეიტინგში მე-7 პოზიციაზე მყოფი სამხრეთ კორეა 542.3 მილიარდი დოლარის მოცულობის ექსპორტით, რეიტინგის ტოპ ათეულში შედის კიდევ ორი განვითარებადი ქვეყანა ჰონკონგი მე-9 ადგილი და მექსიკა მე-10 ადგილი. განვიხილოთ ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხები ზოგიერთ მათგანში. (D. Workman 2020).

ჩინეთის ეკონომიკა ბოლო სამი ათეული წელია განვითარების სწრაფი ტემპით ხასიათდება. ასევე იზრდება ექსპორტის მოცულობები, თუ მისი ექსპორტი 1990 წელს შეადგენდა 62,7 მილიარდ დოლარს, 2019 წელს, როგორც უკვე ზემოდ აღვნიშნეთ, გაიზარდა 40-ჯერ და შეადგინა 2499.0 მილიარდი დოლარი. ვაანალიზებთ რა ჩინეთის გამოცდილებას ექსპორტის მხარდაჭერის

სფეროში, უნდა აღინიშნოს, რომ მისმა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ 2001 წლის ნოემბერში ითამაშა უდიდესი როლი და განსაზღვრა ახალი ეტაპი ქვეყნის საერთაშორისო გაცვლის სისტემაში. (K. Bradsher 2019)

მნიშვნელოვნად განახლებულ იქნა კანონი „საგარეო ვაჭრობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ჩინეთის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება. კანონში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარების და მისი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეცვლილ იქნა საგრეო ეკონომიკური საქმიანობის წესები და განსაზღვრულია ექსპორტიორების სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებების განვითარების მიმართებები. კანონი ითვალისწინებს ექსპორტიორებისათვის ბიუჯეტიდან დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნების მექანიზმს. (K. Davies 2013)

ექსპორტის მხარდაჭერის ღონისძიებები შეესაბამებიან ჩინეთის სახელმწიფოს კურს მხარდაჭერა გაუწიოს კომპანიებს, რომლებიც მოღვაწეობენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგებში. დამატებითი ღირებულებების გადასახადის დაბრუნების მექანიზმის გარდა ჩინეთში გამოიყენება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მეთოდებისა და ინსტრუმენტების კომპლექსი, მათ შორის ექსპორტის მხარდაჭერის ნაწილში, ესენია: სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მეთოდები, ფულად-საფინანსო რეგულირება, ეროვნული ინვესტორების მხარდაჭერა, სავაჭრო პროტექციონიზმზე სახელმწიფო ზემოქმედება, თავისუფალი სავაჭრო ზონების განვითარება და ა.შ.

ექსპორტის მხარდაჭერის ძირითად სუბიექტებს წარმოადგენენ ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკი და ჩინეთის ბანკი. ორივეს აქვთ უფლება დააფინანსონ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, მათ შორის კრედიტები გასცენ ეროვნულ ექსპორტიორებზე და იმ უცხოურ სტრუქტურებზე, რომლებიც იძენენ ჩინეთში დამზადებულ პროდუქციას. (A. Liu 2019)

ექსპორტიორების ფინანსური მხარდაჭერის ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ბოლო წლებში, საკმაოდ ტრადიციულნი არიან, ესენია:

ექსპორტის ფინანსირება (ექსპორტიორებზე გაცემული კრედიტების უდიდესი ნაწილი მიეცა მაღალტექნოლოგიური და მანქანათმშენებლობის პროდუქციისა მწარმოებელ კომპანიებს მაღალი დამატებითი ღირებულებით) და საექსპორტო რისკების დაზღვევის ღონისძიებები.

ჩინეთში ექსპორტიორების ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება შეტანილი სადაზღვევო გადასახადის შესაბამისად. მათ შორის: (H. Lee, L. Zhigang 2014)

- მოკლევადიანი საექსპორტო კრედიტების დაზღვევის შემთხვევაში გაიცემა ფინანსური დახმარება რეალური სადაზღვევო შენატანების 20%-ის მოცულობით;
- საშუალო და ხანგრძლივვადიანი კრედიტების დაზღვევის, ასევე საზღვარგარეთ ინვესტიციების შემთხვევაში გაიცემა ფინანსური დახმარება რეალური სადაზღვევო შენატანების 10%-ის მოცულობით.

მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ექსპორტის განვითარებაში თამაშობენ თავისუფალი ეკონომიკური ზონები.

ჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა ჩინეთის ექსპორტის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის აგების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ეროვნულ ვალუტაში საერთაშორისო სავაჭრო ანგარიშგების მექანიზმის ეტაპობრივი დანერგვა, რასაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ეროვნული ეკონომიკური დიპლომატიის გაძლიერებამ, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ძალისხმევა მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის პირობებში.

ბოლო ათწლეულია საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში აძლიერებს თავის საქმიანობას სამხრეთ კორეა. ქვეყანაში ექსპორტის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები ვითარდებიან ძირითადად სამი მიმართულებით: (J. S. Mah 2010)

- სახსრების მოცულობების გაზრდა კორეული საამშენებლო კომპანიების ექსპორტის კრედიტების დაზღვევისათვის;
- სახელმწიფო პროგრამის „მწვანე განვითარების“ რეალიზაცია, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის დარგების განვითარების საფუძველს;

- სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ფინანსური დანახარჯების გაწევა (ამ მიმართებით 5 წლის განმავლობაში დაიხარჯა ერთ მილიარდამდე აშშ დოლარი).

სამხრეთ კორეის ექსპორტ-იმპორტის ბანკი არის ექსპორტიორებისა და ინვესტორების მხარდაჭერის ძირითადი სუბიექტი. ფონდებს ამ მიმართულების დასაკრედიტებლად ისინი სესხულობენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კორეის ეროვნული ბანკიდან, კორეის განვითარების ბანკიდან და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან. ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საექსპორტო გარიგებებს, რომლებიც დაკავშირებულია მანქანებისა და მოწყობილობების მიწოდებასთან. სამხრეთ კორეის ექსპორტ-იმპორტის ბანკი სტრუქტურში ეკონომიკური განვითარების ფონდის საქმიანობა ითვალისწინებს ასევე შეღავათიანი სესხების გაცემას უცხოეთის ქვეყნების მთავრობებისათვის კონკრეტულ ეკონომიკურად დასაბუთებული პროექტების დასაფინანსებლად, ტექნოლოგიების შეძენისა და საამშენებლო სამუშაოების საზღვარგარეთ განხორციელების ჩათვლით, ასევე აძლევს შეღავათიან სესხებს ეროვნულ ექსპორტიორებს. (F. Ratings 2019)

ამ ქვეყნებში ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ ამ მიმართებით მეოთხე დამოუკიდებელი ჯგუფი. ამ ჯგუფისათვის საერთოს წარმოადგენს ის, რომ პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ გაიარა კოლონიზაცია და დიქტატორული რეჟიმი და შესძლეს განეხორციელებინათ ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები. მათმა გახსნეს თავისი ბაზარი და შეასუსტეს სახელმწიფოს კონტროლი სამეურნეო და საექსპორტო საქმიანობაზე. თანამედროვე ეტაპზე ეს ქვეყნები აქტიურად აწყობენ ექსპორტის მხარდაჭერის თავის ეროვნულ სისტემას, რომელშიც სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი საკმაოდ მაღალია, სახელმწიფო მხარდაჭერის ჩარჩოებში გამოყენებული ღონისძიებები მიმართულია საერთაშორისო ბაზრებზე ეროვნული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ისინი გამოირჩევიან განვითარების დინამიზმით და აგრესიულობით. ამ სისტემების უარყოფით მხარედ შეგვიძლია

მივიჩნიოთ ის, რომ არ არის საკმარისად მყარი ურთიერთკავშირი განხორციელებულ ღონისძიებებს (ფინანსურსა და არაფინანსურს) შორის, ასევე ექსპორტის მხარდაჭერის ღონისძიებები ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის.

2.3. ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის განვითარება საქართველოში

მსოფლიო საექსპორტო ბაზრებზე გამწვავებული კონკურენციის პირობებში, საქართველოს ხელისუფლებას მართებს მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმოს ქართველი ექსპორტიორების საჭიროებებს. ხელისუფლება ბოლო ათეული წელია ამ მიმართებით ახორციელებს განსაზღვრულ ქმედებებს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2000 წლის 14 ივნის საქართველოს გაერთიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, იგი ამ ორგანიზაციის 137-ე წევრი გახდა. ამ დროიდან მოყოლებული საქართველომ თანმიმდევრულად მოიყვანა ჰარმონიზაციაში თავისი საკანონმდებლო ბაზა ამ სფეროში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპებთან და ფუძემდებლურ დებულებებთან. (კ. გოგოლაშვილი 2014).

უაღრესად დიდი მნიშვნელობა, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით, ჰქონდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირთან თავისუფალი სივრცის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლას. ეს ხელშეკრულება წევრებს სთავაზობს ფართო ლიბერალიზაციის განხორციელებას პროდუქციის რეალიზაციასა და მომსახურების გაწევაზე, ასევე სატარიფო შეზღუდვების მოსპობას. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ქართულ ბიზნეს გაეხსნა ევროკავშირის ნახევარმილიარდიან ბაზარზე ხელმისაწვდომობა.

ასევე საქართველოს ხელისუფლებამ დადო ორმხრივი ხელშეკრულებები ევროპისა და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან. მთ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერა პეკინში 2017 წლის 13 მაის. თანამედროვე ეტაპზე თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველოს დადებული აქვს

თურქეთთან, დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ქვეყნებთან და ევროკავშირთან. (ნ. ევგენიძე 2017)

კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის ევროკავშირში თანდათანობით ინტეგრირების გზაზე იყო საქართველოს ევროკავშირში ასოცირებულ წევრად შესვლა იყო, რამაც ქართულ ბიზნეს ახალი პერსპექტივები გაუჩინა. ამ ყოველივეს თან დაერთო 2017 წლიდან ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესის დასასრული, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობამდე.

ბიზნესის წამოწყებისა და წარმოების ხელსაყრელი პირობების მიხედვით მსოფლიოში იმყოფება მე-7 ადგილას, ამ რეიტინგის მიხედვით, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო ბანკი, 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა, რაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს საექსპორტო საქონლის წარმოებას, ამავე რეიტინგის მიხედვით საგარეო ვაჭრობის სფეროში საქართველოს 190 ქვეყანაში შორის 45 ადგილი უკავია (იხ. დიაგრამა 2.3). (The World Bank. 2020)



წყარო: დიაგრამა შედგენილია The World Bank. Main findings for Doing Business 2020-ის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 2.3. ქვეყნების ტოპ 10-ული ბიზნესის წარმოების სიმარტივის მიხედვით.

როგორც დიაგრამიდან ჩანს საქართველო რეიტინგში ბიზნესის წარმართვის სიმარტივის მიხედვით, ოდნავ ჩამორჩება აშშ-ს და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია და შვედეთი.

საქართველოს ექსპორტის კვლევისა და შექმნილი სიტუაციის ანალიზის მიმართულებით, ექსპორტის ლიბერალიზაციის პირობებში, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ჩაატარა სიღრმისეული კვლევა, მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლოა შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- მართალია სქართველოს საექსპორტო პოტენციალი ყოველწლიურად იზრდება, ადგილი აქვს საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაციას, მაგრამ წლების განმავლობაში განუწყვეტლივ იცვლება მთავარი ბაზრები, რაც იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ პრობლემატურია სტაბილური უცხოური ბაზრების მოძიება;
- მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროკავშირთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო ქართული პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას ევროკავშირის ბაზარზე, მაგრამ მისი ტილი საქართველოს ექსპორტის მთლიან მოცულობაში შეადგენს 27%-ს, რაც დამეთანხმებით არასაკმარისია, ამ მიმართებით საქართველოს ხელისუფლებას დიდი სამუშაო აქვს ჯერ კიდევ ჩასატარებელი;
- ყოველწლიურად ფართოვდება იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რომლებიც საქართველოს გააქვს ექსპორტზე, მაგრამ ჯერჯერობით ამ მიმართებით პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვინაიდან საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაში ძალიან მცირე წილი უკავია მეცნიერებატევად პროდუქციას, შექმნილი პრობლემის მოგვარებას დიდი მოცულობის ინვესტიციები და სწრაფი ეკონომიკური ზრდა ესაჭიროება;
- საჭიროა ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის ძირითადად სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის დამკვიდრებაში სახელმწიფოს ხელშეწყობა, რაც უნდა

გამოიხატოს ქურთული პროდუქციის რეკლამირებაში საზღვარგარეთ, ასევე პროდუქციის დიზაინის გაუმჯობესებაში ხელშეწყობითა და საქართველოში, სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე ხარისხის დამადასტურებელი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიების შექმნაში.

ექსპორტის ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს, რომლითაც სახელმწიფო აქტიურად ცდილობს დაეხმაროს ქართველ ექსპორტიორებს, არის პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში". იგი ძირითადად საქმიანობს ორი მიმართულებით, პირველი ეს არის ქართული ექსპორტიორების მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციაა და მეორე ექსპორტის განვითარებაზე მსჯელობა და ზრუნვა. პოპულარიზაციის მიზნით სააგენტო ახორციელებენ საერთაშორისო გამოფენების ორგანიზებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მიზნით შექმნილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სავაჭრო პორტალი, რომელიც ეხმარება ქართველ ექსპორტიორებს მომხმარებლების მოძიებაში, ვინაიდან ისინი ამ ვებ გვერდზე ათავსებენ თავის წინადადებებსა და უკეთებენ რეკლამას თავის პროდუქციას. სააგენტო ხელს უწყობს ექსპორტიორებს გამოფენებზე მონაწილეობის მიღებაში, შექმნილია ქართული საექსპორტო პროდუქციის ონლაინ კატალოგი. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2020)

სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის განვითარების მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთ ღონისძიებას წარმოადგენს ქართული კომპანიების, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე, თანამშრომელთა განათლების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. ამ მიმართებით სააგენტომ „აწარმოე საქართველოში" კავკასიის უნივერსიტეტთან ერთად ჩამოაყალიბა სასერთიფიკატო კურსი ექსპორტის მენეჯერი.

ამრიგად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მდგრადი ურთიერთკავშირი ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის ყველა

კომპონენტს შორის (სტრუქტურები, ინსტიტუტები და რეალიზაციის მექანიზმები)., მიიზიდონ კომერციული სტრუქტურები, ჩამოაყალიბოს საქმიანი გარემო ქვეყანაში და ექსპორტის მხარდაჭერის ინსტიტუციონალური გარემოს განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები, ასევე ხელი შეუწყოს კომპანია-ექსპორტიორების მხარდაჭერის ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლებას, შეიმუშავებს რა ამ მიმართებით ახალ ღონისძიებებს და გაზრდის მათ მოქნილობას.

თავი 3. საქართველოს ექსპორტის მხარდაჭერის სისტემის პრობლემები, მათი დაძლევის გზები და პერსპექტივები

3.1. საქართველოს ექსპორტის სტრუქტურის მიმოხილვა, არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

საგარეო ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს სახელმწიფოსა და მეწარმე სუბიექტებს შორის ურთიერთობის რთულ სისტემას, რომელშიც საკვანძო როლს თამაშობენ მონაწილეები, რომლებიც ახორციელებენ საექსპორტო საქმიანობას. საქართველოში იგი წარმოადგენს ეკონომიკური სივრცის ფორმირებისა და ინვესტიციების შემოდინების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, ხელს უწყობს რა საწარმოო კოოპერაციის განვითარებას და ტერიტორიული სპეციფიკის გაფართოებას საქართველოს ექსპორტის არასანედლეულო სექტორებში, რაც აქტუალურია არახელსაყრელი ეკონომიკური კონიუქტურის პირობებში. ამასთან, არასანედლეულო ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ინფრასტრუქტურის განვითარება სრულად ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს საერთაშორისო არენაზე. (W.F. Lincoln, H. M. Andrew 2019)

ამასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს საქართველოში ექსპორტის მხარდაჭერის არსებული ინფრასტრუქტურის ანალიზი, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონების დონეზე. ამისათვის აუცილებელია გამოიყოს რეგიონები, რომლებსაც საქართველოს ექსპორტის ღირებულებით მოცულობებში ყველაზე მეტი წილი უკავიათ, გაანალიზებულ უნდა იქნას ექსპორტის მხარდაჭერის სტრუქტურა, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ დონეებზე და გამოიყოს მისი ძირითადი ელემენტები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წლიდან მოყოლებული საქართველოს ექსპორტი განუხრელად იზრდებოდა და 2019 წელს მიაღწია თავის ისტორიულ მაქსიმუმს და შეადგინა 3771.5 მილიონი აშშ დოლარი. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა 2016 წელი, როცა ექსპორტის მაჩვენებელი დაეცა 2113.0 მილიონ

აშშ დოლარამდე. ასევე გაზრდილია იმპორტის მოცულობაც და მან 2019 წელს 9 063.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. (იხ. დიაგრამა 3.1.) (საქსტატი 2020).



წყარო: დიაგრამა შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 3.1. საქართველოს ექსპორტ-იმპორტის დინამიკა 2014-2019 წლებში (მილიონ აშშ დოლარებში)

როგორც დიაგრამიდან ჩანს საქართველოს სავაჭრო ბალანსი უარყოფითი მნიშვნელობისაა, ე.ი. იგი იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა. რაც იწვევს ქვეყნიდან დიდი რაოდენობის ვალუტის გადინებას. ამ სიტუაციის გამოსასწორებლად საჭიროა, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ქართველი ექსპორტიორების მხარდასაჭერად.

2019 წელს, ექსპორტის მთლიანი მოცულობის კვალდაკვალ მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქართული ექსპორტის გეოგრაფია. კერძოდ, ექსპორტის ზრდა მოხდა, როგორც ევროკავშირის ქვეყნებში ისეთებში, როგორებიცაა ბულგარეთი და რუმინეთი, ხოლო ჰოლანდიასა და ესპანეთში ექსპორტის მოცულობები შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. ასევე მნიშვნელოვანი მატება იყო რეგიონის ქვეყნებში: სომხეთში, უკრაინასა და ყირგიზეთში. ყველაზე მაღალი წილით ექსპორტის მთლიან მოცულობაში გამოირჩეოდა აზერბაიჯანი (13.2%) და რუსეთი 13.2%). (იხ. დიაგრამა 3.2.) (საქართველოს ეროვნული ბანკი 2020)



წყარო: დიაგრამა შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის 2019 წლის წლიური ანგარიშის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3.2. საქართველოს უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნები 2019 წელი (პროცენტებში)

როგორც დიაგრამიდან ჩანს ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის ევროკავშირზე, მათ შორის ბულგარეთზე მოდის ექსპორტის მთლიანი მოცულობის 7.5%, რუმინეთზე 4.7%, გერმანიაზე 1.4%, ესპანეთზე 1.2% და დანარჩენ ევროკავშირის ქვეყნებზე 7.0%. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით, როგორც ექსპორტის მთლიანი მოცულობა, ისევე ქვეყნობრივი განაწილება გვიჩვენებს, რომ დსთ-ის ქვეყნებზე მოდის ექსპორტის მთელი მოცულობის უდიდესი ნაწილი. ამ სიტუაციის გამოსასწორებლად ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა ექსპორტის ბაზრების დივერსიფიცირებისათვის. (საქართველოს ეროვნული ბანკი 2020)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2019 წელს გაიზარდა ათი უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფების მოცულობები. პირველ ადგილზე გადაინაცვლა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა, მისი მოცულობა გაიზარდა 32.2%-ით და შეადგინა 690655.3 ათასი აშშ. დოლარი. პირველი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაიწია სპილენძის მადნებმა, მართალია მისი მოცულობა 2019 წელს საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ მაინც ჩამორჩება მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის ზრდას. წინა წელთან შედარებით შემცირდა მხოლოდ ფეროშენადნობების მოცულობები, მაგრამ მან მაინც

შეინარჩუნა მესამე პოზიცია. წინასწარი მონაცემების მიხედვით შესაძლოა 2020 წლის ბოლოს საკმაოდ განსხვავებული სიტუაცია შეიქმნას, რის მიზეზიც არის კორონავირუსის პანდემიის გამო მსოფლიო ბაზრებზე შექმნილი სიტუაცია. (იხ. დიაგრამა 3.3) (საქსტატი 2020)



წყარო: დიაგრამა შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3.3. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის 10-ული 2018-2019 წლებში (ათასი. აშშ დოლარი)

იმის მიუხედად, რომ საქართველოს ექსპორტის მოცულობები ეს რამდენიმე წელია ყოველწლიურად იზრდება, ასევე იზრდება ძირითადი უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის მოცულობები, ქართველი ექსპორტიორები, განსაკუთრებით საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, მაინც აწყდებიან რიგ შემაფერხებელ ფაქტორებს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტის, საქართველო ევროპულ გზაზე, ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს ექსპორტიორებისათვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, ევროპულ ბაზარზე შესასვლელად ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს: (ევროკავშირი საქართველოსათვის 2018)

- ფინანსური რესურსების არასაკმარისობა;
- დაკრედიტების არახელსაყრელი პირობები (მაღალი პროცენტო განაკვეთები, კრედიტების მცირე ვადა);
- ევროკავშირის სახელმწიფოებში საიმედო პარტნიორების ნაკლებობა;
- საექსპორტო ოპერაციების განხორციელებისას ფინანსური დანაკარგების მაღალი რისკი;
- ექსპორტიორებისათვის შეთავაზებული სადაზღვევო პროდუქტების სიმცირე, განსაკუთრებით ამ ინსტრუმენტების განუვითარებლობა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის;
- უცხოეთის ბაზრებზე საექსპორტო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის სიმცირე;
- სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის მხარდაჭერის არასაფინანსო მექანიზმების დაუხვეწაობა;
- ეროვნული გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალი კონკურენტუნარიანობა;
- წარმოების მოცულობების სიმცირე, რაც ხელს უშლის ექსპორტის ეფექტიანობას.
- კვალიფიციური სპეციალისტების უკმარისობა;
- ევროკავშირის ბაზრისათვის შესაბამისი ხარისხის სერტიფიკატის გამცემი ლაბორატორიების არქონა.

თანამედროვე ეტაპზე ქართული სახელმწიფო მიმართავს ექსპორტის მხარდაჭერის სხვადასხვა ღონისძიებებს და ინსტრუმენტებს რათა შემცირდეს, ზემოთ ჩამოთვლილი ხელშემშლელი ფაქტორების მავნე ზემოქმედება ქართველი ექსპორტიორების საქმიანობაზე. ამ მიმართებით საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი აწარმოე საქართველოში, მის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ქართული ექსპორტის მხარდაჭერა.

ექსპორტის მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემას უნდა შეეძლოს ექსპორტიორებისათვის ხარისხიანი ფინანსური, ორგანიზაციული,

ინფორმაციული და მარკეტინგული მომსახურების გაწევა. ამ სისტემის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს საბაჟო, ადმინისტრაციული, ფისკალური ბარიერების მოსპობა, კოორდინაციის გაძლიერება ყველა იმ სუბიექტს შორის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ექსპორტის სტრუქტურის განვითარებით.

ამრიგად, ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო იმყოფება ექსპორტის მხარდაჭერის სისტემის დახვეწის პროცესში. გრძელდება ინსტიტუციონალური ბაზის ჩამოყალიბების პროცესი, იხვეწება ექსპორტის მხარდაჭერის ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტები.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულ იქნა დებულებები, რომლებიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს ექსპორტის მხარდაჭერის ნაციონალურ სისტემას. სახელმწიფო წახალისება და პირობების შექმნა მცირე და საშუალო მეწარმეობის სუბიექტებისათვის, რომლებიც სპეციალიზირდებიან მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებაზე, მსხვილ ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და ეროვნულ საწარმოებს შორის ალიანსების შექმნის მხარდაჭერა წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) კონცეფციის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს. ექსპორტის კონკურენტუნარიანობა მცირე და საშუალო მეწარმე-ექსპორტიორების მხარდაჭერისათვის უნდა იქნეს გათვალისწინებული ქართული ექსპორტის სახელმწიფი მხარდაჭერის სისტემის დახვეწის პროცესში. (K. P. Sauvant 2015)

3.2. კვლევა: ექსპორტის მხარდაჭერის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოში

თანამედროვე პირობებში საქონლისა და მომსახურების გასვლა საერთაშორისო ბაზრებზე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას. საექსპორტო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება ხელს უწყობს ქვეყნის მსოფლიოს სხვა რეგიონებთან ხანგრძლივვადიანი სტაბილური ურთიერთობის ფორმირებას. როგორც კვლევამ გვიჩვენა ქართული

კომპანია-ექსპორტიორები მნიშვნელოვანწილად თავის საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში ორიენტირებულნი არიან სწრაფად მზარდ ბაზრებზე, რომლებიც მიმზიდველნი არიან იმით, რომ საექსპორტო პროექტებში მონაწილეობიდან შესაძლებელია მაღალი მოგების მიღება.

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა ექსპორტის მხარდაჭერის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოში. კვლევა წარმოადგენდა რესპოდენტების გამოკითხვას ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარის მიხედვით (იხ. დანართი 1). რესპოდენტები შერჩეულ იქნენ სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით, ხოლო გამოკითხვის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი (მასობრივი გამოკითხვის მეთოდი). გამოკითხვა იქნა განხორციელებული ინტერნეტის საშუალებით, მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 87-მა რესპოდენტმა, მათგან 63 იყო ქალი, ხოლო 24 მამაკაცი (იხ. დანართი 2). კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა ასაკი 18-დან 65 წელს ზემოთ მერყეობდა. კერძოდ, 18-25 წლამდე იყო 21 რესპოდენტი (24.2%), 25-40წლის 39 რესპოდენტი (44.8%), 40-65 24 რესპოდენტი (27.6%) და 65 წელს ზევით 3 რესპოდენტი (3.4%) (იხ. დანართი 3). განათლების მიხედვით რესპოდენტები შემდეგნაირად გადანაწილდნენ საშუალო განათლებით იყო 20 რესპოდენტი, ე.ი. 23%, ხოლო უმაღლესი განათლებით 67 რესპოდენტი ე.ი. 77% (იხ. დანართი 4).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა მოსახლეობის აზრი ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე კი გავაკეთე შესაბამისი დასკვნები.

კითხვაზე: თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოში სათანადო დონეზე ექსპორტის მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემა? რესპოდენტთა მხოლოდ 13,8% პროცენტმა განაცხადა, რომ საქართველოში ექსპორტის მხარდაჭერის სიტემა გამართულია, 43.7% -ის აზრით ეს სისტემა არ აარის სათანადო დონეზე, ე. ი. არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ხოლო რესპოდენტთა 42.5% გაუჭირდა პასუხის გაცემა (იხ. დიაგრამა 3.4)



დიაგრამა 3.4. თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოში სათანადო დონეზე ექსპორტის მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემა?

კითხვაზე თქვენი აზრით, ექსპორტის გაზრდის მხარდაჭერისათვის სახელმწიფოს მიერ ქვეყნის შიგნით გასატარებელი ღონისძიებებიდან, რომელია უფრო მნიშვნელოვანი? რესპოდენტთა 48.3%-მა უპასუხა, რომ ექსპორტის მხარდაჭერისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა საექსპორტო საქონლის მწარმოებლებისათვის საგადასახადო შეღავათის დაწესება, 21.8 %-ის აზრით მნიშვნელოვანია ექსპორტიორებისათვის დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა, 17.3%-მა მიიჩნია, რომ ექსპორტის მხარდაჭერისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში განათლების დონის ამაღლება, ხოლო 12,6% ფიქრობს, რომ ექსპორტიორებისათვის საბაჟო გადასახადის გაუქმება (იხ. დიაგრამა 3,5).



დიაგრამა 3.5. თქვენი აზრით, ექსპორტის გაზრდის მხარდაჭერისათვის სახელმწიფოს მიერ ქვეყნის შიგნით გასატარებელი ღონისძიებებიდან, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?

კითხვაზე იმის შესახებ, თუ ექსპორტის ხელშეწყობისათვის, სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე გასატარებელი ღონისძიებებიდან, რომელია უფრო მნიშვნელოვანი? რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა 44.8% -მა აღნიშნა, რომ ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ქართველ ექსპორტიორებს ქართული პროდუქციის საზღვარგარეთ რეკლამირებაში, 29%-მა განაცხადა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოფენებზე და კონკურსებზე ქართული პროდუქციის გაგზავნის ორგანიზება, 18.4% ფიქრობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ ქართული დღეების მოწყობა, ხოლო 6.9%-ის აზრით ქართული პროდუქციის ონლაინ კატალოგის შექმნა. (იხ. დიაგრამა 3.6)



დიაგრამა 3.6. ექსპორტის ხელშეწყობისათვის, სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე გასატარებელი ღონისძიებებიდან, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?

ქართველი ექსპორტიორების კონკურენტუნარიანობის ამაღლების სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვან საკითხზე იყო შემდეგი კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის აუცილებელი, საზღვარგარეთის ბაზრებზე ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად? რესპოდენტთა უდიდესმა უმრავლესობამ 74.7% განაცხადა, რომ ქართველ ექსპორტიორთა უცხოეთის ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭიროა საქართველოში იწარმოებოდეს მაღალი ხარისხის პროდუქცია, 23%-ის

აზრით აუცილებელია განსხვავებული ნიშანთვისებების მქონე პროდუქციის წარმოება, ხოლო 2.3%-ი ფიქრობს, რომ ამ მხრივ სიტუაციის გასაუმჯობესებლად საჭიროა მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოება (იხ. დიაგრამა 3.7).



დიაგრამა 3.7. რა არის აუცილებელი, საზღვარგარეთის ბაზრებზე ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად?

შემდეგი კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ საქართველოს, რომელ დარგს აქვს მეტი საექსპორტო პოტენციალი? გამოკითხულ რესპოდენტთა უდიდესმა ნაწილმა 81.6% განაცხადა, რომ ყველაზე მეტი საექსპორტო პოტენციალი საქართველოში გააჩნია სოფლის მეურნეობას, შემდეგ მოდის გადამამუშავებელი მრეწველობა 10.5%-ით, მესამე პოზიციაზეა ბუნებრივი რესურსების ნედლეული 4.6%, მრეწველობასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ემხრობა 1.1%-1.1%, ხოლო სხვა დარგები დაასახელა 1.1%-მა (იხ. დიაგრამა 3.8).



დიაგრამა 3.8. თქვენი აზრით საქართველოს, რომელ დარგს აქვს მეტი საექსპორტო პოტენციალი?

კითხვაზე თუ რა უშლის ქართულ კომპანიებს ხელს საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში? რესპოდენტების 36.9%-მა უპასუხა, რომ ქართულ კომპანიებს საექსპორტო პოტენციალი გაზრდაში პირველ რიგში ხელს უშლის კაპიტალისა და ინვესტიციების სიმცირე, 24.1%-ის აზრით ამ მიმართებით კანონმდებლობის დაუხვეწაობა, ხოლო 19,5%-ის აზრით კი ქვეყანაში არის კვალიფიციური პერსონალის სიმცირე და კრედიტებზე მაღალი პროცენტი.



დიაგრამა 3.9. თქვენი აზრით, რა უშლის ქართულ კომპანიებს ხელს საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში?

ჩვენი კითხვარის ბოლო კითხვაზე თქვენი აზრით, რას მოუტანს ქვეყანასა და მის მოსახლეობას ექსპორტის მხარდაჭერის დახვეწილი თანამედროვე სახელმწიფო სისტემა? გამოკითხულ რესპოდენტთა 10.3% ფიქრობს, რომ ქართული კომპანიების საექსპორტო პოტენციალის გაზრდა გამოიწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, 9.2%-ის აზრით უმუშევრობის შემცირებას, 4.6% ფიქრობს, რომ გაიზრდება ქვეყნის ცნობადობა და ასევე 4.6% აზრით გაიზრდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობა (იხ. დიაგრამა 3.10).

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული, ქართველი ექსპორტიორების სახელმწიფო მხარდაჭერის განვითარების თანამედროვე მდგომარეობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ რესპოდენტთა დიდი ნაწილი ან თვლის, რომ საქართველოში ექსპორტის

მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემა არ არის სათანადო დონეზე განვითარებული ან უჭირს პასუხის გაცემა.



დიაგრამა 3.10. თქვენი აზრით, რას მოუტანს ქვეყანასა და მის მოსახლეობას ექსპორტის მხარდაჭერის დახვეწილი თანამედროვე სახელმწიფო სისტემა?

ამ მიმართებით ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამოსასწორებლად რესპოდენტთა აზრით საჭიროა საექსპორტო საქონლის მწარმოებლებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება (48,3%) და მათთვის დაბალ პროცენტიანი სესხების მიცემა (21.8%). ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ექსპორტიორების მხარდაჭერისათვის ორგანიზება გაუკეთოს ქართული პროდუქციის საზღვარგარეთ რეკლამას (44.8%) და ასევე დაეხმაროს მათ საზღვარგარეთ გამოფენებსა და კონკურსებზე მონაწილეობაში (29.9%), ხოლო კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად უნდა გაიზარდოს საექსპორტო საქონლის ხარისხი (74.7%). მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა აზრით საქართველოში ყველაზე დიდი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობასა (81.6%) და გადამამუშავებელ მრეწველობას (10.5%). ასევე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ კომპანიებს საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში ხელს უშლის ძირითადად კაპიტალისა და ინვესტიციების სიმცირე (36.9%) და კანონმდებლობის დაუხვეწაობა (24.1%). ხოლო საექსპორტო პოტენციალის გაზრდა ქვეყანასა და მის მოსახლეობას მოუტანს უმუშევრობის შემცირებას, ცხოვრების დონის გაზრდას, ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ცნობადობის ამაღლებას.

3.3. საქართველოს ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მხარდაჭერის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები და პერსპექტივები

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა რჩება რთულ ამოცანად. საქართველოს უხდება თავისი ექსპორტის მხარდაჭერის სისტემის დახვეწა მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილურობის, გლობალური კონკურენციისა და ახალი ბაზრებისათვის მწვავე ბრძოლის პირობებში. იზრდება სწრაფად მზარდი ეკონომიკების გავლენა, პირველ რიგში ჩინეთის, ინდოეთის ბრაზილიისა და სამხრეთ კორეის მსოფლიო ეკონომიკაზე.

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების ექსპერტების მიერ გაკეთებულ იქნა დასკვნა, რომ 1995 წლიდან მოყოლებული დღემდე მოხდა არასატარიფო ბარიერების გამოყენების მასშტაბების დაახლოებით 13 ჯერადი გაზრდა ტექნიკური რეგულირების ღონისძიებებისა და ადმინისტრაციული და საბაჟო პროცედურების გამოყენებით. ამავდროულად მნიშვნელოვანი, როგორც საქართველოს ექსპორტის მოცულობის ზრდა ასევე მისი სტრუქტურული გაუმჯობესება, ექსპორტის დივერსიფიკაცია მის სტრუქტურაში მზა პროდუქციის წილის ზრდით. (UNCTAD 2018)

საქართველოში დღეს არსებული ექსპორტის მხარდაჭერის ნაციონალური სისტემის მოდელს არ ძალუძს სრულფასოვნად უზრუნველყოს ექსპორტიორების და მათი კონკურენტუნარიანობის ეფექტიანი დაცვა საერთაშორისო ბაზარზე. საქართველო დგას რთული ამოცანის წინაშე დახვეწოს ეროვნული კომპანიების ექსპორტის მხარდაჭერის სისტემა ქვეყნის განვითარების სტრატეგიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

გავითვალისწინებთ რა ექსპორტის მხარდაჭერის სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას და მხედველობაში მივიღებთ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ არსებული ექსპორტის მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესების რეკომენდაციები:

- აუცილებელია შემუშავებულ და მიღებულ იქნას ეროვნული საექსპორტო სტრატეგია, ასევე ეროვნული ექსპორტის განვითარების კონცეპცია ამ პროცესით დაინტერესებული ყველა მხარის მონაწილეობით. ვალდებულებები და მთავრობის მკაფიოდ განსაზღვრული პოზიცია ექსპორტის მხარდაჭერისა და საექსპორტო კონკურენციის განვითარების საკითხებში წარმოადგენს პოზიტიურ სიგნალს ეროვნული და უცხოური ინვესტორებისათვის და უწყობს ხელს ხელსაყრელი საქმიანი კლიმატის ფორმირებას.
- მნიშვნელოვანია ფორმირებულ იქნას ქართველი მცირე და საშუალო საწარმო-ექსპორტიორების და საექსპორტო პოტენციალის მქონე საწარმოების მხარდაჭერის ერთიანი სისტემის კომპლექსური პროგრამა.
- სახელმწიფოს მხრიდან უნდა წახალისდეს და შეიქმნას მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის კავშირები, რომლებიც სპეციალიზირებულები არიან მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებაზე, ასევე ხელი უნდა შეეწყოს მცირე და საშუალო საწარმოების ალიანს მსხვილ ეროვნულ და უცხოურ სავაჭრო და საწარმოო კომპანიებთან.
- უნდა განხორციელდეს საწარმოო-ექსპორტიორების დაყოფა რამდენიმე ჯგუფად: საწარმოოები, რომლებიც იმყოფებიან წინა საექსპორტო სტადიაზე, რომლებსაც გააჩნიათ საექსპორტო პოტენციალი, რომლებიც იმყოფებიან უცხოურ ბაზარზე შესვლის სტადიაზე და ექსპორტიორი საწარმოები. საწარმო ექსპორტიორების მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით.
- უნდა დაიხვეწოს ექსპორტიორების პირდაპირი მხარდაჭერის ღონისძიებები და მეთოდები, ასევე ახალი ფინანსური პროდუქტების შექმნა, რომლებიც შემუშავებული იქნება დაკრედიტების არსებული ინსტრუმენტების არსენალის ბაზაზე, კრედიტებზე პროცენტების ანაზღაურება, ლიზინგი და ა.შ., მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისათვის.
- თანამედროვე ეტაპზე არსებობს საექსპორტო ოპერაციების დაფინანსების მოცულობის გაზრდის აუცილებლობა, განსაკუთრებით ეს ეხება

მეცნიერებატევად საქონელსა და პროდუქტებს. აუცილებელია გაიზარდოს იაფ საფინანსო პროდუქტებზე ქართველი ექსპორტიორების ხელმისაწვდომობა, შეიქმნას უფრო ხელსაყრელი პირობები საექსპორტო ოპერაციების დაკრედიტებისათვის.

- უნდა დაიხვეწოს, გარე ბაზრებზე ქართული პროდუქციისათვის, სავაჭრო ბარიერებისა და შეზღუდვების გამოვლენისა და აღმოფხვრის სისტემა. ამისათვის, ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სავაჭრო ბარიერებისა და შეზღუდვების იდენტიფიკაცია და ანალიზი და ამის საფუძველზე აწარმოოს მოლაპარაკებები საზღვარგარეთის მთავრობებთან მათ აღმოსაფხვრელად.
- სათანადოდ უნდა დაიხვეწოს ექსპორტიორების მხარდაჭერის არასაფინანსო მეთოდები, ამ მიმართებით უცხოეთის მდიდარი გამოცდილების გათვალისწინებით.
- უნდა შეიქმნას საზღვარგარეთ ქართველი ექსპორტიორების მხარდაჭერის ეფექტიანი ინსტრუმენტები, მათ შორის საქართველოს სავაჭრო წარმომადგენლობები საზღვარგარეთ ქართველი ექსპორტიორების რეალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად.
- გაეწიოს ქართველ ექსპორტიორებს იურიდიული დახმარება.
- კაპიტალის მოზიდვის მიზნით შეიქმნას ინვესტორებისათვის ხელსაყრელი კლიმატი. უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გატარდეს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა.
- მოხდეს განვითარების დარგობრივი პროგრამების შეთანხმება ექსპორტის განვითარების პროგრამებთან, ასევე მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პროგრამასთან. ასეთი შეთანხმების არ არსებობამ შესაძლოა მიგვიყვანოს მცირე და საშუალო საწარმოების გაქრობამდე.
- საქართველოს ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტირებული ტექნოლოგიური დარგების შექმნის მიზნით გატარდეს შესაბამისი სატარიფო-საბაჟო პოლიტიკა.

- სამამულო ექსპორტიორების მხარდაჭერისა და ლობირებისათვის უნდა შეიქმნას სპეციალიზირებული სტრუქტურები.
- დაიხვეწოს ექსპორტის მხარდაჭერის საგადასახადო მეთოდები.
- ხელისუფლებამ განახორციელოს სათანადო ღონისძიებები ქართული პროდუქციის ცნობადობის გაზრდის მიზნით.

მოყვანილი წინადადებებთან მიმართებაში საქართველომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, მცირე და ასევე საშუალო კომპანიების განვითარების ხელშეწყობად, საქართველოში ამ თვალსაზრისით ასე ვთქვათ ამ კუთხით საუკეთესო სართაშორისო პრაქტიკისა და პოლიტიკის დანერგვის გზით, შემოღებულია მცირე და საშუალო ბიზნეს სტრატეგია. ეს ყოველივე კი საბოლოოდ აისახება დადებითად, როგორც თვითდასაქმებულების ზრდაზე, ასევე დასაქმების შესაძლებლობაზე. საყურადღებოა მთიან რეგიონებში მცირე მეწარმეობის განვითარება. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ეკონომიკური აქტიურობის წასახალისებლად გრძელდება მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი.

საქართველოს პრიორიტეტული მიმართულება არის სოფლის მეურნეობის განვითარება და ხელშეწყობა, რომლის მთავარი გარანტია გამოკვეთილად არის განსაზღვრული აგრარული პოლიტიკა და სოფლის მეურნეობაში ამ მხრივ ფინანსური რესურსების მკაფიოდ გაზრდა. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, ასე ვთქვათ სტრატეგიული ხედვა ისეთი გარემოს შექმნას გულისხმობს, რაც დაეხმარება სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ასევე სურსათის უვნებლობასა და მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოების დახმარებასა და ხელშეწყობას. ამასთან ერთად ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სოფლად სიღარიბის დაძლევა და სასურსათო პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. უმთავრესი რაც დღეს გახლავთ არის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში ის რეფორმები, რომელიც ერთობლივად ყველა მიმართულებით ტარდება, მითუმეტეს იგი აღნიშნული აგრო მიმართულებში. საქართველოს მეწარმეებს ეტაპობრივად ეძლევათ საშუალება დანერგონ ევროპული სტანდარდები და

შემდგომ მოახდინონ საკუთარი პროდუქციის ექსპორტირება სხვადასხვა ქვეყნის მიმართულებით მსოფლიო ბაზარზე. მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა ექსპორტის მხრივ წინა წლებთან შედარებით, მაინც დიდ პრობლემად რჩება ქართველი მეწარმეების პროდუქციის ექსპორტირება საზღვარგარეთ, რასაც ძირითადად განაპირობებს რამდენიმე მიზეზი, მათ შორის სესხის საპროცენტო განაკვეთი, პროდუქციის ხარისხი ევროპულ სტანდარტთან მიმართებაში და ნაკლები ცნობადობა, რომელიც დიაგრამების სახით წარმოდგენილია წინა თავში კვლევების საფუძველზე.

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია ბიზნეს გარემოს სტიმულირება და დახმარება. აუცილებელია განხორციელებულ იქნას საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია და ჩვენს ქვეყანაში წარმოებული და დამზადებული აგრო და სასურსათო პროდუქტის ცნობადობა გაზრდილი, უსაფრთხოება სურსათის და მისი უვნებლობა, ამავდროულად ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. სოფლის განვითარების პოლიტიკა იქნა შემუშავებული და მიღებული, სადაც განსაზღვრულია ადგილობრივი ეკონომიკური და აგრეთვე სოციალური, კულტურული და სხვა თავისებურებები.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში საქართველოს წინაშე დგას სტრატეგიული ამოცანა, ეს არის ექსპორტის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის დახვეწა და განვითარება, რაც უნდა განხორციელდეს კომპლექსური და სრულფასოვანი საექსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნის ბაზაზე, რომელიც თავმოყრილი იქნება ქართველი ექსპორტიორების მხარდაჭერის და მსოფლიო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების მთელი არსენალი. ამ ამოცანის წარმატებით რეალიზაციაზე იქნება დამოკიდებული საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.

დასკვნა

ექსპორტის რეგულირებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის თეორიული ასპექტების და მსოფლიო გამოცდილების შესწავლის, საქართველოს ექსპორტ-იმპორტის თანამედროვე მდგომარეობის გაანალიზების, ასევე ამ მიმართებით ჩვენს მიერ ჩატარებული რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ჩამოვაყალიბეთ დასკვნები და დავსახეთ პრაქტიკული წინადადებები:

1. მსოფლიო ეკონომიკის კრიზისმა გამოიწვია გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობის შემცირება, კონკურენტული ბრძოლის გამკაცრება, განვითარების პრიორიტეტებისა და ორიენტირების ცვლილება, იმ ეროვნული კომპანიებისადმი ყურადღების გაზრდა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საექსპორტო საქონლის წარმოებაზე. ამ მიმართებით საქართველოს წინაშე დგას პრიორიტეტული ამოცანა გაიზარდოს კომპანია-ექსპორტიორების და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობები მსოფლიო ბაზარზე და განმტკიცდეს მათი საერთაშორისო კონკურენტული პოზიციები. ამ პირობებში ექსპორტიორების მხარდაჭერის ეროვნული სისტემის განვითარებას, რათა გაფართოვდეს ქართველი ექსპორტიორების უცხოურ ბაზრებზე ხელმისაწვდომობა, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ტრანსფორმირებული გლობალური კონკურენციის ახალი გამოწვევების გათვალისწინებით გააჩნია არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა, ხოლო ასეთი კვლევების მოთხოვნილება ხდება სულ უფრო აქტუალური.

2. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს ექსპორტის რეგულირება და მხარდაჭერა. წყვეტენ რა ნაციონალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების ამოცანას, მრავალმა წარმატებულმა განვითარებადმა ქვეყანამ, უკანასკნელ წლებში, მნიშვნელოვნად გაზარდა ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის ინტენსიურობა და მასშტაბები. განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის რეგულირებისა და მხარდაჭერის სისტემა წარმოდგენილია ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული სახელმწიფო და

არასამთავრობო ინსტიტუტებით. მის შემადგენლობაში შედიან პროფილური სამინისტროები და უწყებები, სპეციალიზებული სააგენტოები და საექსპერტო ცენტრები, ფინანსური სტრუქტურები, რეგიონალური და საზღვარგარეთის წარმომადგენლობების აპარატები.

3. ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრინციპს. სატარიფო რეფორმა და ტექნიკური რეგულირების რეფორმა განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ, ამის გამო ქვეყანას გააჩნია ყველაზე გამორჩეული ლიბერალური საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც ცხადია გულისხმობს გამარტივებული ფორმით საგარეო ვაჭრობის რეჟიმს და ამავდროულად საბაჟოსაც. ტარიფებიც განსაზღვრავს მის ეფექტიანობას, რაც გამოიხატება როგორც დაბალ საიმპორტო ტარიფებში, ისევე მინიმალური არასატარიფო რეგულირებაში.

4. მსოფლიოში გაბატონებული პრაქტიკის თანახმად, ექსპორტის მხარდაჭერისა და რეგულირების ერთიანი პოლიტიკა არ არსებობს. სახელმწიფოები და მათი მთავრობები იყენებენ ბიზნესის რეგულირების, წახალისებისა და მხარდაჭერის სხვადასხვა სტრატეგიებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, კონკურენტუნარიანობის დონეზე, მსოფლიოში გაბატონებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე და საერთაშორისო სტრუქტურებთან ურთიერთდამოკიდებულების დონეზე. ექსპორტის სტიმულირებისა და რეგულირების მთავარ მიზანს წარმოადგენს მისი სასაქონლო სტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი ბაზრების ათვისება და გაყიდვების ეფექტიანობის ამაღლება.

5. ექსპორტის მხარდაჭერის მიმართულების მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. ამ მიმართებით საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს, მათ შორის თვალშისაცემია პროგრამა აწარმოე საქართველოში. მისი მასშტაბები ყოველწლიურად იზრდება, იზრდება თანადაფინანსების მოცულობებიც. ასევე,

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებსაც დებს ქართული სახელმწიფო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ორმხრივი ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან, ისეთებთან, როგორებიცაა: ჩინეთი, თურქეთი, აშშ-ი და სხვა. ექსპორტის ხელშეწყობისა და საერთაშორისო ბაზრებთან ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს გაერთიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. რამაც ქართველ ექსპორტიორებს გაუხსნა გზა ევროპისა და განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე.

6. ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის მსოფლიო წამყვანი ქვეყნების გამოცდილების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერა დიდი ხანია წარმოადგენს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს და იყენებს ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების ფართო არსენალს.

7. ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებში, არამედ ყველა განვითარებულ ქვეყანაში ხდება სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის გააქტიურება ექსპორტიორების მხარდაჭერის სფეროში. ამ მიზნისათვის გამოიყენება ფინანსური და არაფინანსური ხასიათის ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების, ასევე პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ნაკრები, რომლებიც მისაღებია კომპანიების ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე.

8. ექსპორტის მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემას უნდა შეეძლოს ექსპორტიორებისათვის ხარისხიანი ფინანსური, ორგანიზაციული, ინფორმაციული და მარკეტინგული მომსახურების გაწევა. ამ სისტემის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს საბაჟო, ადმინისტრაციული, ფისკალური ბარიერების მოსპობა, კოორდინაციის გაძლიერება ყველა იმ სუბიექტს შორის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ექსპორტის სტრუქტურის განვითარებით. ამრიგად,

ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველო იმყოფება ექსპორტის მხარდაჭერის სისტემის დახვეწის პროცესში. გრძელდება ინსტიტუციონალური ბაზის ჩამოყალიბების პროცესი, იხვეწება ექსპორტის მხარდაჭერის ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტები.

9. ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა ექსპორტის მხარდაჭერის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოში. კვლევა წარმოადგენდა რესპოდენტების გამოკითხვას ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარის მიხედვით. რესპოდენტები შერჩეულ იქნენ სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით, ხოლო გამოკითხვის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი (მასობრივი გამოკითხვის მეთოდი). გამოკითხვა იქნა განხორციელებული ინტერნეტის საშუალებით, მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 87-მა რესპოდენტმა, მათგან 63 იყო ქალი, ხოლო 24 მამაკაცი.

10. ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული, ქართველი ექსპორტიორების სახელმწიფო მხარდაჭერის განვითარების თანამედროვე მდგომარეობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ რესპოდენტთა დიდი ნაწილი ან თვლის, რომ საქართველოში ექსპორტის მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემა არ არის სათანადო დონეზე განვითარებული ან უჭირს პასუხის გაცემა. ამ მიმართებით ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამოსასწორებლად რესპოდენტთა აზრით საჭიროა საექსპორტო საქონლის მწარმოებლებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება (48,3%) და მათთვის დაბალ პროცენტიანი სესხების მიცემა (21.8%). ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ექსპორტიორების მხარდაჭერისათვის ორგანიზება გაუკეთოს ქართული პროდუქციის საზღვარგარეთ რეკლამას (44.8%) და ასევე დაეხმაროს მათ საზღვარგარეთ გამოფენებსა და კონკურსებზე მონაწილეობაში (29.9%), ხოლო კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად უნდა გაიზარდოს საექსპორტო საქონლის ხარისხი (74.7%). მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა აზრით საქართველოში ყველაზე დიდი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობასა (81.6%) და გადამამუშავებელ მრეწველობას (10.5%). ასევე კვლევის შედეგად დადგინდა,

რომ ქართულ კომპანიებს საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში ხელს უშლის ძირითადად კაპიტალისა და ინვესტიციების სიმცირე (36.9%) და კანონმდებლობის დაუხვეწაობა (24.1%). ხოლო საექსპორტო პოტენციალის გაზრდა ქვეყანასა და მის მოსახლეობას მოუტანს უმუშევრობის შემცირებას, ცხოვრების დონის გაზრდას, ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ცნობადობის ამაღლებას.

11. საქართველოში დღეს არსებული ექსპორტის მხარდაჭერის ნაციონალური სისტემის მოდელს არ ძალუძს სრულფასოვნად უზრუნველყოს ექსპორტიორების და მათი კონკურენტუნარიანობის ეფექტიანი დაცვა საერთაშორისო ბაზარზე. საქართველო დგას რთული ამოცანის წინაშე დახვეწოს ეროვნული კომპანიების ექსპორტის მხარდაჭერის სისტემა ქვეყნის განვითარების სტრატეგიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში საქართველოს წინაშე დგას სტრატეგიული ამოცანა, ეს არის ექსპორტის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის დახვეწა და განვითარება, რაც უნდა განხორციელდეს კომპლექსური და სრულფასოვანი საექსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნის ბაზაზე, რომელშიც თავმოყრილი იქნება ქართველი ექსპორტიორების მხარდაჭერის და მსოფლიო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების მთელი არსენალი. ამ ამოცანის წარმატებით რეალიზაციაზე იქნება დამოკიდებული საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოლაშვილი კ., დაღელაშვილი ნ., ელიზბარაშვილი ნ., შატბერაშვილი ო. აღმოსავლეთ პარტნიორობა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ელემენტები საქართველოში. ანალიტიკური კვლევა. თბ. 2014. გვ. 18. 53 გვ. https://www.gfsis.org/media/download/EaP/studies/EaP-and-Convergence-with-EU-Policies-in-Georgia-ge.pdf
2. ევგენიძე ნ. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. მაისი 16, 2017. https://www.radiotavisupleba.ge/a/ekonomika/28490717.html
3. ევროკავშირი საქართველოსათვის. DCFTA-ს საკომუნიკაციო სახელმძღვანელო საქართველოსთვის. თბ. 2018. http://www.eesc.lt/uploads/DCFTA%20Toolkit%20GEO%20version%20FINAL.pdf
4. ეკონომიკის განვითარებისა და კვლევის ცენტრი (EPRC). საქართველოს ექსპორტის დინამიკის ცალკეული ასპექტები საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ფონზე. 20 დეკემბერი 2018. https://osgf.ge/publication/saqartvelos-eqsportis-dinamikis-calkeuli-aspeqtebi-sagareo-vachrobis-liberalizaciis-fonze/
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. პროექტი აწარმოე საქართველოში 2019 წლის ანგარიში. გვ 40. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5e9ff7a844a85-Annual-Report-2019-small-pdf.pdf
6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. http://5.44.128.32/ge/economic-sectors/trade&type=print
7. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2019. თბ. 2020. 342 გვ. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/annual_report_2019_num.pdf
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საგარეო ვაჭრობა. თბ. 2020. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

9. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 290. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. თბ. 26.07.2012. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1709684?publication=0
10. ხატიაშვული გ. საქართველო-რუსეთის ფედერაციის მოლაპარაკებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) საკითხებზე 5 წლის შემდეგ. თბ. 2018. https://idfi.ge/ge/georgia_russia_negotiations_on_wto_issues_five_years_ago
11. Васютченко И.Н. Государственная поддержка экспорта: мировой опыт. Экономический вестник государственного университета. 2010. Том 8. №1. Ст. 243-250. (244) https://cyberleninka.ru/article/n/gosudarstvennaya-podderzhka-eksporta-mirovoy-opyt (უკანასკნელად გადამოწმებულია 01.05.2020).
12. Копорулина В.Н. Новый экономический словарь: словарь . Изд. 3-е. Ростов н/Д.. Феникс, 2008. 428с. http://www.law.edu.ru/book/book.asp?bookID=1340011
13. Приходько С.В. и др. Стимулирование экспортной деятельности в зарубежных странах и практика поддержки экспорта в России М.: Институт экономики переходного периода, 2007. С. 159. http://www.iet.ru/ru/stimulirovanie-eksportnoi-deyatelnosti-v-zarubezhny-strana-i-praktika-podderzhki-eksporta-v-rossii-2.html
14. Урумов Т. Р. Государственное поддержка экспортной деятельности. Диссертация. М. 2019. Сю 84. https://www.imemo.ru/files/File/ru/dis/2019-002-Urumov-DIS.pdf
15. Федораева А.С. «Стимулирование экспорта в России». Реферат по курсу. М. 2010. https://works.doklad.ru/view/67mAjyhOF8Q.html
16. Черкасов Д. Я. История НДС за рубежом. М. 2015. http://kvnews.ru/news-feed/istoriya-nds-za-rubezhom
17. Bradsher K. China's Economic Growth Slows as Challenges Mount. Oct. 17, 2019. https://www.nytimes.com/2019/10/17/business/china-economic-growth.html

18. Caballero J. M., Calegar G. Cappi C. Instruments of Protection and their Economic Impact. http://www.fao.org/3/X7352E03.htm
19. Davies K. "China Investment Policy: An Update", OECD Working Papers on International Investment, 2013/01, OECD Publishing. http://dx.doi.org/10.1787/5k469l1hmvbt-en
20. Herrn D. Entwurf eines Gesetzes zur Förderung der Wirtschaftsbeziehungen zum Ausland, insbesondere zu den Entwicklungsländern. 2009. http://dipbt.bundestag.de/doc/btd/03/015/0301597.pdf
21. Irwin D. A.,. Mavroidis P.C., Sykes A. O. The Genesis of the GATT. This Draft Version: 19 December 2007. Pp. 149. (3-4) https://www.dartmouth.edu/~dirwin/docs/Creation.pdf
22. Lee H., Zhigang L. Out of China: The activities of China's export credit agencies and development banks in Africa. 23 July 2014. https://www.kwm.com/en/uk/knowledge/insights/out-of-china-the-activities-of-chinas-export-credit-agencies-and-development-banks-in-africa-20160101
23. Lincoln, William, F., and Andrew H. McCallum. The Rise of Exporting By U.S. Firms. International Finance Discussion Papers 1157. 2019. http://dx.doi.org/10.17016/IFDP.2019.1157
24. Liu A. 5 Big Changes to China's VAT in 2019. October 14, 2019. https://www.china-briefing.com/news/5-big-changes-chinas-vat-2019/
25. Mah J. S. Export Promotion Policies, Export Composition and Economic Development of Korea. Sydney, Australia October 2010. P. 13. https://www.lawanddevelopment.net/img/mah.pdf
26. OECD . OECD countries agree sustainable lending principles for official export credits. 2008. https://www.oecd.org/general/oecdcountriesagreesustainablelendingprinciplesforofficialexportcredits.htm
27. Ratings F. Fitch Affirms The Export-Import Bank of Korea at 'AA-'; Outlook Stable. Seoul. 19 Jun 2019. https://www.fitchratings.com/research/banks/fitch-affirms-the-export-import-bank-of-korea-at-aa-outlook-stable-19-06-2019

28. Report to the U.S. Congress on. Global Export Credit Competition. June 2019. https://www.exim.gov/sites/default/files/reports/competitiveness_reports/2019/EXIM2019CompetitivenessReport-final.pdf
29. Rheberg's J. WTO/GATT Research. 2017. Pp. 8. (2) https://law.duke.edu/sites/default/files/lib/gatt.pdf
30. Roy E. Use this export costing sheet to track your spending and keep your business profitable. Blog for International Trade Experts. Trade Ready. 14.11.2017. http://www.tradeready.ca/2017/topics/researchdevelopment/use-export-costing-sheet-track-spending-keep-business-profitable/
31. JBIC. The Japan Bank for International Cooperation. 2020. https://www.jbic.go.jp/en/information/press/press-2016/0330-54530.html
32. The World Bank. Main findings for Doing Business 2020. https://www.doingbusiness.org/
33. Sauvant K. P. The Negotiations of the United Nations Code of Conduct on Transnational Corporations. Columbia University, New York, USA. 2015. http://ccsi.columbia.edu/files/2015/03/KPS-UN-Code-proof-2-Journal-of-World-Investment-and-Trade-March-2015.pdf
34. UNCTAD. NON-TARIFF MEASURES: Evidence from Selected Developing Countries and Future Research Agenda. New York. 2018. https://unctad.org/en/Docs/ditctab20093_en.pdf
35. USDA Export Market Development and Export Credit Programs: Selected Issues. October 17, 2017. https://www.everycrsreport.com/reports/R44985.html
36. Workman D. World's Top Exports Report Card for Products and Countries. May 19, 2020. http://www.worldstopexports.com/worlds-top-exports-products-countries/
37. World Trade Organization. How the WTO is organized. https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/inbrief_e/inbr_e.htm

დანართი

დანართი 1.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტების გამოკითხვის ანკეტა

ექსპორტის მხარდაჭერის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოში

1. **ასაკი?**
   - 18-25 წლამდე
   - 25-40 წლამდე
   - 40-65 წლამდე
   - 65 წელს ზევით
2. **სქესი?**
   - მამრობითი
   - მდედრობითი
3. **განათლება?**
   - საშუალო
   - უმაღლესი
4. **თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოში სათანადო დონეზე ექსპორტის მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემა?**
   - კი
   - არა
   - მიჭირს პასუხის გაცემა
5. **თქვენი აზრით, ექსპორტის გაზრდის მხარდაჭერისათვის სახელმწიფოს მიერ ქვეყნის შიგნით გასატარებელი ღონისძიებებიდან, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?**
   - ექსპორტიორებისათვის დაბალპროცენტიანი სესხების მიცემა.
   - საექსპორტო საქონლის მწარმოებლებისათვის საგადასახადო შეღავათის დაწესება.
   - ექსპორტიორებისათვის საბაჟო გადასახადის გაუქმება.
   - განათლების დონის ამაღლება.
6. **ექსპორტის ხელშეწყობისათვის, სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე გასატარებელი ღონისძიებებიდან, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?**
   - საერთაშორისო გამოფენებზე და კონკურსებზე ქართული პროდუქციის გაგზავნის ორგანიზება.
   - ქართული საექსპორტო პროდუქციის ონლაინ კატალოგის შექმნა.
   - საქართველოს დღეების მოწყობა სხვადასხვა ქვეყანაში.

- ქართული პროდუქციის საზღვარგარეთ რეკლამირების ხელშეწყობა.

7. **რა არის აუცილებელი, საზღვარგარეთის ბაზრებზე ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად?**
   - მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება.
   - განმასხვავებელი ნიშანთვისებების მქონე პროდუქციის წარმოება.
   - მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოება.
8. **თქვენი აზრით საქართველოს, რომელ დარგს აქვს მეტი საექსპორტო პოტენციალი?**
   - სოფლის მეურნეობა.
   - გადამამუშავებელი მრეწველობა.
   - ინფორმაციული ტექნოლოგიები.
   - მრეწველობა.
   - ბუნებრივი რესურსების ნედლეული.
   - და სხვა.
9. **თქვენი აზრით, რა უშლის ქართულ კომპანიებს ხელს საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში?**
   - კვალიფიციური პერსონალის სიმცირე.
   - კაპიტალისა და ინვესტიციების სიმცირე.
   - კრედიტებზე მაღალი პროცენტი.
   - ამ მიმართების კანონმდებლობის დაუხვეწაობა.
10. **თქვენი აზრით, რას მოუტანს ქვეყანასა და მის მოსახლეობას ექსპორტის მხარდაჭერის დახვეწილი თანამედროვე სახელმწიფო სისტემა?**
   - შემცირდება უმუშევრობა.
   - ამაღლდება მოსახლეობის ცხვრების დონე.
   - გაიზრდება ქვეყნის ცნობადობა.
   - გაიზრდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

დანართი 2.



დიაგრამა. რესპოდენტების განაწილება სქესის მიხედვით.

დიაგრამა 3.



დიაგრამა. რესპოდენტების განაწილება ასაკის მიხედვით

დიაგრამა 4.



დიაგრამა. რესპოდენტების განაწილება განათლების მიხედვით